სპორტი ბაზეთი

№11 (744)
ოთხშაბათი
27 მარტი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

ზეიმობს მთელი საქართველო!



ნიკოლ პაშინიანი: დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ირაკლი უდიდეს წვლილს შეიტანს სომხეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს შეხვდა.

პირისპირ შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე ისაუბრეს.

აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას აქტიური თანამშრომლობა აკავშირებს არაერთი მიმართულებით, მათ შორის ვაჭრობის, ტრანსპორტის, ტურიზმის სფეროებში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა და დაუდასტურა საქართველოს მხარდაჭერა სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ყურადღება დაეთმო რეგიონულ პროცესებს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობიან თანაცხოვრებას და მზად არის, მომავალშიც შეასრულოს დადებითი როლი რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა ხელს შეუწყობს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებას და ორივე ქვეყანას ხელშესახებ სარგებელს მოუტანს.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელშიც ორი ქვეყნის მთავრობის წევრები მონაწილეობდნენ.

„ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ურთიერთობებით სომხეთსა და საქართველოს შორის, რომელიც დინამიურად ვითარდება“, - ამის შესახებ სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან ერთად გამართული ბრიფინგის დროს აღნიშნა.

სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის თქმით, ყველაფერი გაკეთდება, რათა ახალი ჰორიზონტები გაიხსნას ორი ქვეყნის ურთიერთობებში.

„კიდევ ერთხელ მინდა, პირისპირ მივულოცო ბატონ ირაკლის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონ ირაკლი თავისი სერიოზული დამოკიდებულებით თავის წვლილს შეიტანს ურთიერთობების გაღრმავებაში სომხეთსა და საქართველოს შორის.

წინა წელს საქართველომ მიიღო ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და ძალიან მივესალმები ამ ფაქტს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რადგან არა მარტო ჩვენს რეგიონზე აქვს გავლენა, არამედ ჩვენს ორმხრივ ურთიერთობებზეც. სომხეთის რესპუბლიკა ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ევროინტეგრაციას“, - აღნიშნა სომხეთის რესპუბლიკის პრემიერმა.

მან ასევე ყურადღება გაამახვილა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციაზე.

„კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ სომხეთი მზად არის, მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ყველაფერი გააკეთოს და ჩვენი პასუხისმგებლობა ვიკისროთ ამ მიმართულებით. ველით, რომ მსგავსი დამოკიდებულება იქნება მეორე მხრიდანაც. მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ ჩვენ აზერბაიჯანთან ურთიერთობების გამოსწორებისკენ ყველა ნაბიჯს ვდგამთ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მშვიდობა და ეს პროექტი, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს მეზობელ ქვეყანას, იქნება სამომავლო თანამშრომლობის საწინდარი სტრატეგიული ურთიერთობების დასალაგებლად აზერბაიჯანთან. საქართველო დაინტერესებულია რეგიონში მშვიდობითა და სტაბილურობით.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო ირაკლი, მინდა ვთქვა, რომ ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენი ურთიერთობებით სომხეთსა და საქართველოს შორის, რომელიც დინამიკურად ვითარდება. მინდა დაგარწმუნოთ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არ დავკმაყოფილდეთ არსებულით და კიდევ უფრო ახალი ჰორიზონტები გავხსნათ ჩვენს ურთიერთობებში. კიდევ ერთხელ მოგესალმებით ერევანში, მადლობას მოგახსენებთ ვიზიტისთვის და ამ პროდუქტიული საუბრებისთვის“, - განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

ირაკლი კობახიძემ ნიკოლ ფაშინიანი საქართველოში მიიწვია.

ჩვენ პრინციპულად უნდა დავიცვათ ოჯახური ღირებულებები

„როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ დავაანონსეთ საკანონმდებლო ცვლილებები ფსევდოლიბერალური პროპაგანდის წინააღმდეგ, რასთან დაკავშირებითაც განვსაზღვრეთ ორკვირიანი ვადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს წარმოედგინათ ამ საკითხის დარეგულირების შესახებ მოსაზრებები თუ საკუთარი ვერსიები. ამის მიუხედავად, დღემდე, ამ დრომდე არც ერთი მსგავსი ინიციატივა არავის მხრიდან არ გახმოვანებულა, პირიქით, ვნახეთ წინასაწარი მზადებებიც კი ჯერ კიდევ დაუწერელი ინიციატივის წინააღმდეგ”, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ 25 მარტს, “ქართული ოცნების” ოფისში გამართულ ბრიფინგზე.

„კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ჩვენი პასუხისმგებლობაა, ერთი მხრივ, დავიცვათ ნებისმიერი ადამიანის ყველა კონსტიტუციური უფლება და თავისუფლება, როგორი არატრადიციული და განსხვავებული ცხოვრების წესიც უნდა გააჩნდეთ ამ ადამიანებს და მეორე მხრივ, ასევე ძალიან პრინციპულად უნდა დავიცვათ ოჯახური ღირებულებები და ჩვენი მომავალი თაობები ფსევდოლიბერალური პროპაგანდის მოსალოდნელი გამოუსწორებელი შედეგებისგან.

ამ მიზნის გარანტირებული უზრუნველყოფისთვის და საკითხის უდიდესი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც თანამედროვე მსოფლიოში ამ მიმართულებით არსებულმა პრობლემებმა დაგვანახვა, ჩვენ გადავწყვიტეთ, დავაინიციროთ პირველ რიგში საკონსტიტუციო ცვლილებები, სადაც მკაფიოდ გაიწერება ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის გარანტიები, რის შემდეგაც ძალიან ახლო მომავალში, ჩვენ ასევე დავაინიცირებთ შესაბამის და უფრო კონკრეტულ ცვლილებებს კანონებში, რომლებიც დაახლოებით რამდენიმე ათეულ კანონს მოიცავს. ცვლილებები კანონმდებლობაში, თავის მხრივ, სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოს მოქმედ კონსტიტუციასთან, თუმცა სამომავლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული მიზნების მყარი აღსრულებისათვის, ვაინიცირებთ საკონსტიტუციო ცვლილებებს.

პირველ რიგში, და სულ ინიცირდება ორი კონსტიტუციური კანონი: პირველი, ეს შეეხება საქართველოს კონსტიტუციის ოცდამეათე მუხლს, სადაც ჩვენ ქორწინების დეფინიცია განვსაზღვრეთ 2017 წელს, რომელიც ოჯახს განიხილავს, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირს. ამ მუხლს დაემატება მესამე პუნქტი შემდეგი შინაარსით: ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვა უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციური კანონით, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილია და ამ კონსტიტუციის განუყოფელ ნაწილზე, ანუ, შემდეგ საკონსტიტუციო ცვლილებაზე საქართველოს კონსტიტუციური კანონი, თავის მხრივ, რომელსაც ჰქვია „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონი.

მე მივყვები მუხლებს:

მუხლი 1

კანონმდებლობით შეიძლება მოწესრიგდეს ქორწინებასთან მიმსგავსებული მხოლოდ იმგვარი ურთიერთობა, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცის და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს ითვალისწინებს.

არასრულწლოვანის შვილად აყვანა ან მინდობით აღზრდა დაშვებია მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ.

აკრძალულია ადამიანის სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა.

სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც მის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება.

ბათილია საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს.

აკრძალულია იმგვარი შეკრება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.

აკრძალულია იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთნაირსქესიანი ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, ერთნაირსქესიანი წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.“ - განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

ჩვენს და ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიის“ პრეზიდენტს, კეთილშობილ ადამიანს და მშვენიერ ქალბატონს

ნინო ანდრონიკაშვილს

ვულოცავთ იუბილეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, მხნეობას, დაე, კიდევ მრავალ წელს ასეთი ახალგაზრდა და ენერგიით აღსავსე შეხვდეს თავის დღეობას და ბევრი კეთილი საქმე აკეთოს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

„საერთო გაზეთი“

სალვადორე ალიენდე, კომუნისტებს რატომ ენდე?!

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, სტოლტენბერგმა ჩვენთან სტუმრობისას აღნიშნა, რომ უკრაინას და საქართველოს ერთ კალათაში ვერ განვიხილავო. თქვენ როგორ გესმით ეს ფრაზა?

— მისი ვიზიტიდან დამრჩა შთაბეჭდილება, რომ განცხადებების კეთებისას ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. რაც შეეხება ჩვენი და უკრაინის სხვადასხვა კალათში ყოფნას, ამაზე მაკრონის სიტყვები მახსენდება, უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი უნდა მივცეთ, საქართველო კი ჩვენგან გეოგრაფიულად შორს არისო. მაშინ ქართველები გავბრაზდით, მაგრამ რეალობა ასეთია — ევროკავშირი მოსაზღვრე ქვეყნებით ფართოვდება. ევროკავშირში ჩვენი გაწევრიანება მათთვის საჩოთირო იქნება, რადგან, მათი გაგებით, ევროპასთან უშუალოდ ახლოს არ ვართ. ანუ, საქართველო არ არის ბალტიის ქვეყნების მსგავსი ტრადიციული ევროპული ქვეყანა. მიუხედავად იმისა, რომ ისიც საბჭოთა სისტემის შემადგენლობაში მოხვდა, ადრე ისტორიულად ბალტიის ქვეყნები ევროპული ქვეყნები იყო. ასე რომ, მე ისიც კი გამიკვირდა, კანდიდატის სტატუსი რომ მოგვცეს, რაც სხვადასხვა ფაქტორის შედეგია. გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი ფაქტორი ჩინეთი იყო. ამიტომ, ერთ კალათაში რომ არ ვართ, ეს გასაკვირი არ არის. უკრაინა გეოგრაფიულად არის მათ კალათაში, ჩვენ — არა. ამ მხრივ უიღბლო ქვეყანა ვართ — არავის კალათაში არ ვიმყოფებით. ეს ფრაზა დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე მიუთითებს, რაც სტოლტენბერგის რანგის პოლიტიკოსისთვის შეუფერებელია.

— ვის კალათაში იქნებოდა საქართველო იღბლიანი?

— იღბლიანი იმ კალათაში ვიქნებოდით, სადაც არ შეგვჭამდნენ. არსებობს ასეთი კალათა? — არა. ჩვენ ისტორიულად არავის კალათაში არ ჩამოვყალიბებულვართ, შინაური არავისთვის გავმხდარვართ. როგორც თანაკლასელს, სკოლაში არავისთან გვისწავლია. ახლა აღმოგვაჩინეს და ჩათვალეს, რომ ჩვენთან ყოფნა, შესაძლოა, მათ ინტერესში შედიოდეს. ახლა სიახლოვე, ალბათ, დაგვიანებულია, თუმცა გამორიცხული არ არის, ქვეყანამ მეგობარი გვიან შეიძინოს.

— სტოლტენბერგის ვიზიტი შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთს. პესკოვმა აღნიშნა, ნატო რეგიონში დესტაბილიზაციის შემომტანიაო.

— ეს განცხადება სერიოზულად დაფიქრებას საჭიროებს. მით უმეტეს, რომ ზახაროვამაც აღნიშნა, ამერიკას კავკასიაში დესტაბილიზაციის მოწყობა უნდაო. ამ ნათქვამმა ეჭვი გამიჩინა: ხომ არ მზადდება დესტაბილიზაციის ახალი სცენარი, უფრო ფართო, არამარტო საქართველოს, არამედ კავკასიის მასშტაბით ერთიანი არეულობის შესაქმნელად. რუსეთმა უკრაინაში მდგომარეობა გაიმყარა. ის, პრაქტიკულად, მთელ დასავლეთს ებრძვის. მართალია, ომში დასავლეთის ჯარისკაცები არ იბრძვიან, მაგრამ შეიარაღება ხომ ხდება. რუსეთი ამ შეტევას მედგრად უძლებს. მეორე მხრივ, რუსეთის მოღონიერება ფრიად სახიფათოა, რადგან მას უკვე ამბიციები უჩნდება. რუსეთს რეაქცია არ ჰქონია იმაზე, რომ შეიძლება ტვირთების ტრანზიტმა ჩინეთიდან ევროპისკენ, კავკასიაზე გაიაროს. როცა მოღონიერდება, რუსეთს ამაზე, შესაძლოა, მწვავე რეაქცია ჰქონდეს და რეგიონში საომარ ავანტიურაში ჩაებას, რის უფლებასაც ადრე, როგორც დამნაშავე ბავშვი, საკუთარ თავს არ აძლევდა. დამნაშავე ბავშვმა თუ იგრძნო, რომ მას მყარი პოზიცია აქვს, შეიძლება, გათავხედდეს და ყველას თავზე გადაუაროს. რუსეთის გათავხედების ეს შანსი არსებობს. ამიტომ მეშინია, რომ მან ისეთი ვერაგობა არ ჩაიფიქროს, რომელიც ყველაზე მეტად საფრთხის შემცველი სწორედ ჩვენთვის იქნება. რადგან აზერბაიჯანი თურქეთის კალათაშია და ისე ვერ დაჯაბნის, რომ ამ უკანასკნელის განრისხება გამოიწვიოს. თურქეთი რუსეთისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენი დაჯაბნა თუ მოინდომა, ხმის ამომღები არავინ იქნება. ამიტომ ვვარაუდობ, რომ ჩვენთვის ასეთი გალაღებული რუსეთი სახიფათოა.

— ამ ფონზე ნატო-ს სამხედრო ალიანსი რამდენად არის ჩვენი უსაფრთხოების გარანტი?

— რა გითხრათ, უსაფრთხოების გარანტი როგორ იქნება, როცა ნატო-ს წევრი არ ვართ. ნატო-ს ერთ-ერთმა გენერალმა აღნიშნა, ნატო რუსეთთან საბრძოლველად მზად არისო. ეს შემაშფოთებლად არაპოლიტიკური განცხადებაა იმ მხრივ, რომ ნატო-ს ინტერესშია, მსოფლიო მისი არსებობის აუცილებლობაში დაარწმუნოს. ამავე დროს, ნატო-ს ყოფილი გენერალი აცხადებს, რომ დასავლეთს უკრაინისთვის იარაღის მიწოდების რესურსი აღარ აქვს. კი მაგრამ, თუ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება უჭირს, მაშინ რუსეთს როგორღა შეებრძოლება?! ამიტომ, ამ ფონზე უპრიანია, ვიკითხოთ: ნატო გამოგვესარჩლება, საქართველოში რამე რომ მოხდეს? პასუხი არცთუ შორეულ წარსულშია — ითავა მან გამოსარჩლება 2008 წელს?! ამიტომ ვშიშობ, თუ იურიდიული გარანტიები არ იქნება, ასე ადვილად ნატო-ს საბრძოლო მოქმედებებში ვერ ჩართავ.

— ნატო სამხედრო თავდაცვითი ორგანიზაციაა, თუმცა სტოლტენბერგი მოგვიწოდებდა, თავისუფალი არჩევნები უნდა ჩაატაროთო.

— სამხედრო თავდაცვითი ორგანიზაციის გარდა, ის პოლიტიკურიც არის. მას გაცხადებული აქვს, რომ არადემოკრატიულ ქვეყანას არ მიიღებს. ამ მოტივით ბევრი ქვეყანა დაიწუნა, მათ შორის, რუსეთიც. თუმცა ფაქტია, თურქეთთან ბევრი სადავო იყო, მაგრამ მაინც მიიღო. აქედან გამომდინარე, პოლიტიკაში ქოთანს ყურს იქიდან აბამენ, საიდანაც დასჭირდებათ.

— ევროპულ საბჭოზე, უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან მოლაპარაკებების დაწყების გახსნაზეც ისაუბრეს. საქართველო კი, როგორც პაპუაშვილმა აღნიშნა, ისევ დაიჩაგრა.

— საქართველოს კანდიდატის სტატუსი რომ მოანიჭეს, მეგონა, გაუცხოების თემა ამოიწურა, მაგრამ უცებ იგივე განმეორდა — ჩვენი ქვეყანა მისთვის დამსახურებული მდგომარეობიდან ისევ ამოაგდეს. ეს საყურადღებოა. იგივე ავადმყოფობასთან გვაქვს საქმე — ევროპისთვის შინაური კი არა, გარეული ვართ. დასავლეთი ჩვენ მიმართ გაუცხოებულია. დიახ, ჩვენი ქვეყანა უცხოდ მიაჩნიათ და ევროპულ ოჯახში მისი შეყვანა არ უნდათ. იგივე განწყობა აქვთ კავკასიის ყველა ქვეყნის მიმართ. სომხეთის მიმართაც იგივე დამოკიდებულებაა, მაგრამ დასავლეთში სომხური ლობი ძლიერია, რაც მათთვის უკვე ფაქტორია. აზერბაიჯანზე ლაპარაკიც ზედმეტია — ის თავად არ მიიწევს ევროპისკენ. მას რუსეთთან ურთიერთობის გართულება არ სურს. ჩვენ ავიტეხეთ, რომ პირველი ევროპელები უნდა გავხდეთ. ლოგიკა ის არის, რომ ამ გზით გვინდა, რუსული აგრესიისგან თავი დავიცვათ. ჩვენ რუსეთი გვერჩის. მას ვერაფერს ვუხერხებთ და მოლოდინი გვაქვს, რომ, თუკი ევროპულ სტრუქტურებში გავერთიანდებით, დაცული

ვიქნებით. რეალობას თუ შევხედავთ, ევროპისკენ სვლა უკრაინამაც მოისურვა და ვხედავთ, რაც ხდება.

— თავის დროზე ჩვენც ნატო-სკენ ლტოლვამ არ დაგვაკარგვინა ტერიტორიები?

— არ ვიცი, რამ დაგვაკარგვინა. ეს შეიძლება, საბაბი იყო და არა მიზეზი. უკრაინასთან მიმართებითაც შეიძლება, არსებობდეს რაღაც საბაბი და არა მიზეზი. რუსეთს შეუძლია, თავისი მოსახლეობის სიცოცხლე არად ჩააგდოს და პრაქტიკულად, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი იარაღით დაუპირისპირდეს და გაანადგუროს ყველა, ვისი განადგურებაც მოეპრიანება. აი, ასეთ რუსეთთან გვაქვს საქმე. მას დასავლეთიც ვერ ერევა, რომელიც თავისი ქვეყნების შიგნით უფრო მეტ ფაქტორს უწევს ანგარიშს. რუსეთი კი ანგარიშს არაფერს უწევს. ასეთ ქვეყანასთან ბრძოლა ადვილი არავისთვის იქნება, მათ შორის, არც ნატო-სთვის, დასავლეთისთვის. მხოლოდ იმის შეგრძნება, რომ დასავლეთი შენ გვერდითაა, დაცულობის თვალსაზრისით, საკმარისი არ უნდა იყოს. არც ის არის გამორიცხული, დასავლეთმა თავი სულაც არ შეიწუხოს. ის უკრაინას ამდენი ხანი გვერდით ედგა, მაგრამ ახლა ამერიკა ნელ-ნელა სხვა მხარეს იწევს. ვერც გაამტყუნებ. ვინმეს ჩვენი მხარდაჭერა რომ დასჭირდეს, არავინ იცის, თავს გავწირავთ თუ არა. ამიტომ თვალი რეალობას გავუსწოროთ — ჩვენ გამო თავს არავინ მოიკლავს. არადა, რუსეთი აწყვეტილი გიჟის შთაბეჭდილებას ახდენს და მასთან სიფრთხილეა საჭირო.

— ახლა აღნიშნეთ, აზერბაიჯანს ევროპისკენ გული არ მიუწევსო, მაგრამ სომხეთი ხომ მიილტვის ევროინტეგრაციისკენ...

— რუსეთმა სომხეთს რამდენიმე გაფრთხილება უკვე მისცა. ძნელი სათქმელია, რუსეთი რომელ ბერკეტს გამოიყენებს — აზერბაიჯანს მიუქსევს, თუ ეკონომიკურ ბერკეტებს აამუშავებს — მთელი სომხური წარმოება მის ხელშია. ადრე სომხეთი რუსეთს ენდობოდა, ახლა კი კურსის შეცვლა მოინდომა. ამასობაში რუსეთმა სომხეთის მთელი წარმოება იყიდა. ამ უკანასკნელს აღარაფერი გააჩნია. რუსეთს აქვს საშუალება, მასზე ენერგეტიკული, ეკონომიკური ბერკეტებით ზემოქმედება დაიწყოს. მეორეც, სომხეთმა თავის დროზე დიდი შეცდომა დაუშვა, როცა გადაწყვიტა, ამიერკავკასიაში რუსეთის საყრდენი გამხდარიყო და მას ენდო. ხომ გახსოვთ სიმღერა: „სალვადორე ალიენდე, კომუნისტებს რატომ ენდე?! ენდე? ენდე!“ ამიტომ მგონია, რომ სომხეთს რაიმე კონკრეტული პერსპექტივები არ აქვს. ძალიან ბუნდოვანია, თუ რისი იმედი აქვს ფაშინიანს, რომელიც იძახის, ევროპისკენ მივდივარო. რუსეთს თავისი გასაკეთებელი არ გაუკეთებია, ჯერ მხოლოდ იმუქრება.

— რთული ვითარებაა ახლო აღმოსავლეთშიც. როგორ ფიქრობთ, ისრაელი დასავლეთის მიერ დაწესებულ წითელ ხაზს გადაკვეთს?

— ეს საკითხი კიდევ უფრო ბუნდოვანია. ნეთანიაჰუს პრინციპია: თუ არაბები ერთ ებრაელს მოკლავენ, მათ საპასუხოდ ათი უნდა მოკლან. ანუ, სადამსჯელო პრინციპიდან გამომდინარე მოქმედებს, სხვაგვარად ტერორს ვერ გავაჩერებთო, — ამბობს. ამ ლოგიკით გადავიდა ისრაელი ღაზას სექტორთან შეტევაზე — არაბებს დიდი უპირატესობის მოსაპოვებლად უნდა ებრძოლოს. თუ ისრაელს თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემ, ის ტერორს ტერორით უპასუხებს, მაგრამ დასავლეთი ამის საშუალებას არ აძლევს. ვფიქრობ, ისრაელი ბოლომდე საკუთარ ხაზს გააგრძელებს. ნეთანიაჰუმ უკან რომ დაიხიოს, ქვეყნის შიგნით შეექმნება მძიმე მდგომარეობა.

თამარ შველიძე

„ოპოზიცია“ იმ ძალას წარმოადგენს, რომელიც ქვეყანას, ეროვნულ ტრადიციებს და ინტერესებს მტრობენ

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი შოთა გლურჯიძე:

— ბატონო შოთა, მელიამ და გვარამიამ პარტია „ახალი“ ჩამოაყალიბეს...

— ამაზე ცნობილი ფაქტი მახსენდება, როცა ეშმაკები შეპყრობილი ადამიანიდან ღორის კოლტში გადავიდნენ. მაცხოვარმა შეპყრობილ ადამიანს ჰკითხა, რა გქვიაო. კაცს იმდენად ბევრი ეშმაკი ჰყავდა შეჩენილი, ასე უპასუხა, ჩემი სახელი ლეგიონიაო. ასე რომ, მათ ბევრი სახელები აქვთ. სახელი მათი არის „ლეგიონი“. ისინი იმ ძალებს წარმოადგენენ, რომლებიც ჩვენს ქვეყანას, ეროვნულ ტრადიციებს, ინტერესებს მტრობენ. ამიტომ სულ ერთია, „გირჩი“ ერქმევათ, „ნაცმოძრაობა“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ თუ სხვა, მათი სახელი „ლეგიონია“.

— სხვათა შორის, გვარამია პრემიერ-მინისტრობისთვის ემზადება.

— უკვე აღარაფერი მიკვირს. სადაც შესაძლებელია, რომ ზელენსკი უკრაინის პრეზიდენტი იყოს, გვარამიას რა შეუშლის ხელს, პრემიერი გახდეს?! ზელენსკიც ტელეშოუდან მოვიდა პოლიტიკაში და გვარამიაც.

— „ნაცებმა“, არჩევნებში 20%-ს ავიღებთო, გვარამიასაც იგივე ციფრზე აქვს პრეტენზია. როგორც ჩანს, ამომრჩეველის მიმხრობის იმედი აქვს, ვისაც ჯერ არ გადაუწყვეტია, ხმას ვის მისცემს...

— კი მაგრამ, ქვრივ-ობლებს არაფერი დაუტოვეს?! უკვე ყველაფერი დაინაწილეს?! ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ გლეხკაცისთვის მხოლოდ სტალინი იყო.

— რეალურად, თუ ჩანს პოლიტიკურ არენაზე ძალა, რომლიც იმ ამომრჩეველს მიიმხრობს, ვისაც არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია?

— პოლიტიკურ არენაზე ახალი ძალა რომ გამოჩნდეს, ამისთვის თანამედროვე სამყაროში დიდი რესურსია საჭირო. პატიოსანი ხალხი, რომელიც ქართული ტრადიციების, კულტურის მატარებელია, თამაშგარე მდგომარეობაშია. ოპოზიცია ლეგიტიმაციას აბსოლუტურად სხვაგან იღებს. ანუ, იმ ხალხისგან ვინც ფულს, რესურსებს აწვდის და ამ „დღის წესრიგს“ და „ელიტას“ ქმნის. ხალხს ოპოზიციაში თავისი წარმომადგენელი არ ჰყავს და ვერც ეყოლება. სელექცია იმის მიხედვით ხდება, ვინ უფრო მეტად იქნება გლობალისტური ძალების მარიონეტი, ვინ უკეთ გამოიჩენს თავს — მელია გამოიჩენს თავს? — ფსონიც მასზე დაიდება და ა. შ. საკაშვილი, მგონი, საერთოდ ჩამოწერეს. დიდი ნამცხვრის განაწილება ხდება, რაშიც ქართველი მოსახლეობა ჩართული არ არის. ხალხი თავის კულტურაში, ტრადიციებშია. მის უდიდეს ნაწილს პოლიტიკის გაგონებაც არ უნდა, რადგან ხვდება, რომ პოლიტიკოსები თაღლითები არიან. ჩვენ ჩვენი „შპს“, დღის წესრიგი გვაქვს და ამ პოლიტიკოსებთან არაფერი გვაერთიანებს — არც რწმენა, არც ტრადიცია, არც კულტურა. ხომ ხედავთ, გვარამია მელიას კონკურენტია. ეს ბუნებრივია. მათ მატერიალური, პირადი ინტერესების გარდა, არაფერი აინტერესებთ. ისინი ჩვეულებრივი მტაცებლები არიან. მათ უნდათ, უფრო მეტი შეხვდეთ იქიდან, რის გაყოფასაც ცდილობენ — ეს არის ფული. ბრძოლა ფულისთვის მიდის.

— წელან ახსენეთ, ლეგიტიმაციას სხვაგან იღებენო. ბოკუჩავამ განაცხადა, ბრიუსელს უნდა დავანახვოთ, რომ ალტერნატიული პოლიტიკური ძალა არსებობსო.

— ქართველ ხალხს უნდა დავანახვოთო, არ უთქვამს, ხომ?! დიახ, მათ ქართველი ხალხის წინაშე არანაირი ანგარიშვალდებულება არ აქვთ. თანაც, ახლა მაჟორიტარული არჩევნები აიკრძალა და ხალხთან კავშირი საერთოდ გაწყდება. დიახ, ლეგიტიმაციას ქართველი ხალხისგან კი არა, ბრიუსელიდან იღებენ. ადრე, წინასაარჩევნოდ ხალხს ხვდებოდნენ, ახლა ბრიუსელში, აშშ-ში დადიან, მოსახლეობას აღარ ხვდებიან.

— როგორც ვიცი, თიბისი ბანკმა თქვენგან 500 ლარი ისესხა, მანამდე ზურაბიშვილი გესესხათ ევროპული ვოიაჟებისთვის 50 ლარს...

— კი ასეა და ფული აღარ დამიბრუნეს. ხაზარაძემ მანქანის გასაკეთებლად ისესხა, „მუსტანგი“ რომ გაუფუჭდა, მაგრამ თანხა აღარ დაუბრუნებია. ხომ ხვდებით, ეს ყველაფერი კისერზე ქართველ ხალხს აწვება. ამ თაღლითების ფულები, მათი „მუსტანგები“ და „დოლჩე-გაბანები“ ჩვენი გადასახდელია.

— როგორ ფიქრობთ, ზურაბიშვილი შეიწყალებს ჩვენი სახელმწიფოსა და დროშის „შემოქმედს“?

— სამგლე დამოუკიდებლად არ მოქმედებს, რასაც ეტყვიან, იმას გააკეთებს. მთავარია, ჩვენ საკუთარ შვილებს, ოჯახებს მივხედოთ და შევეცადოთ, ნაკლებად დაგვაყაჩაღონ. ეს სწორი ტაქტიკა იქნება.

— ევროკავშირის ელჩმა აგვიხსნა: ევროკავშირში გაწევრიანებით საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება გაუმჯობესდებაო.

— და პენსიონერებს ევროპული პენსია ექნებათ, ხომ. საიდან უნდა მოვიდეს ეს თანხები, ან როდის აპირებენ ჩვენს მიღებას, ედემში როდის მოვხვდებით. ან იმ დროს იქნება, საერთოდ, ევროკავშირი, თუ დაშლილებში გვიღებენ?! მერე რა, თუ ევროკავშირი აღარ იარსებებს, ჩვენს კონსტიტუციაში ყოველთვის იქნება ჩაწერილი: სწრაფვა ნატოსკენ და ევროკავშირისკენ. ეს მემორიალური კონსტიტუცია იქნება — ევროკავშირის და ნატო-ს ადეპტებს შეუძლიათ მოვიდნენ და მას ემთხვიონ. არცერთი ქვეყნის კონსტიტუციაში, რომელიც ნატო-სა თუ ევროკავშირში შევიდა, ასეთი პირობა არ ეწერა. ეს მხოლოდ ჩვენ და უკრაინამ ავსახეთ. ასე რომ, ნატო და ევროკავშირი რომ დაიშლება, უნიკალური შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენი კონსტიტუცია გავაქირავოთ, რათა მას ემთხვიონ.

თუ ნატო-ს უნდა, საქართველო მისი წევრი გახდეს, გარკვეული ნაბიჯები თავადაც უნდა გადადგას. მაგალითად, უკრაინას ახლა რომ ტენიან ბომბებს და ამ ომზე უკვე 300 მილიარდზე მეტი დახარჯეს, ასე კი ნუ მოგვექცევიან, არამედ მანამდე მოგვხედონ. ჩვენი შეიარაღებული ძალები უფრო გააძლიერონ, ეკონომიკის განვითარებაში დაგვეხმარონ. ანუ, რომ დავიღუპებით, მერე კი არ მოგვაწოდონ შეიარაღება, ყვავილები გასვენებაში კი არ მოგვიტანონ, არამედ ახლა დაგვეხმარონ, სანამ დავიხოცებით. ლეტალურ დაზიანებებს თუ მივიღებთ და ჩვენი არსებობა სათუო გახდება, ისევე, როგორც უკრაინისა, მერე დახმარება რაღაში გვჭირდება!

— წელს მსოფლიოს 47 ქვეყანაში არჩევნებია. ტრამპი რევანშს აიღებს?

— ქართულ პოლიტიკაში ვერ გავრკვეულვარ, რა ხდება და ამერიკისაზე რა გითხრათ. ბაიდენის პოლიტიკა ჩვენს ტყავზე განვიცადეთ, მას არ ვგულშემატკივრობ. თუმცა, არც ის ვიცი, ტრამპი რისი გამკეთებელია. ერთადერთი, ვინც ჩვენ დასავლეთიდან გამოგვადგა, საქართველოსა და ლუქსემბურგის თამაშის ესპანელი მსაჯია, რომელმაც ჩვენს კარებში გოლი გააუქმა. ეს კაცი მომწონს, არ არის დასაკარგი. მგონია, რომ აშშ-შიც მძიმე სიტუაციაა. იქ ბევრი რამ წყდება. ჩვენ მაინც კოლექტიური დასავლეთის კოლონიალური ნაწილი ვართ. მნიშვნელოვანია, ვინ დავჯდება აშშ-ის ტახტზე. ჯობს, ისევ ტრამპმა მოიგოს, ის ნაკლებ ტოქსიკური მეჩვენება.

— ევროპა მოსამართლეების კეთილსინდისიერების შემოწმებას ითხოვს, გვემუქრებიან, თუ ცხრა დათქმას არ შეასრულებთ, მოლაპარაკებები არ გაიხსნებაო...

— ჩვენი სუვერენიტეტი იმდენად ეფემერულია, არაფერს ეყრდნობა. რეალურად სუვერენული ქვეყანა არც ვართ. ამიტომ, რა მნიშვნელობა აქვს, მოსამართლეებს სხვა ქვეყნის ელჩი შეამოწმებს თუ არა. ყველამ ვიცით, რომ მურუსიძე პატიოსანი კაცი არ არის. გინდა შეამოწმონ და გინდა — არა, მნიშვნელობა არ აქვს.

— ბატონო შოთა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსული ჯარების გაყვანის საკითხს თამარ კორძაიამ არააქტუალური უწოდა.

— მსგავსი რეზოლუცია არაერთი გვინახავს, მაგრამ მერე რა, გაიყვანა რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარები?! ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა რაში მდგომარეობს, რამე ძვრა არის ამ მიმართულებით?! ნებისმიერი თემის აქტუალიზაცია შეიძლება, როცა მედია, ფინანსები შენს ხელშია, ასე, ადამიანების ტვინების გამორეცხვა მარტივია.

— ჩვენი ოპოზიცია ბრიუსელში იმის სათქმელად დადის, რომ საქართველო ევროინტეგრაციას არ იმსახურებს. ძველად ზოგი ქართველი მეფე სპარსეთში იყო გადახვეწილი, მაგრამ სამშობლო არასდროს დაუბეზღებიათ.

— რომელია ამათგან სამეფო გვარის წარმომადგენელი — მელია, გვარამია, ხაბეიშვილი თუ ვაშაძე?! ჩვენ ვლაპარაკობთ ხალხზე, რომლებიც მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნვით არიან დაკავებულნი, თუ რომელს უფრო დიდი ჯიპი და აუზი ექნება ვილაში. ქართველი მეფეები სამშობლოსთვის თავს სწირავდნენ. ისტორიულ გმირებთან მათი შედარება როგორ შეიძლება. ესენი ჩვეულებრივი თაღლითები არიან.

— ასამბლეაზე საქართველოს ევროინტეგრაციას არც უკრაინელმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. მან აღნიშნა, საქართველო რუსეთს სანქციების თავის არიდებაში ეხმარებაო.

— ჩვენი ქვეყნის უშიშროების კურატორი ამერიკის სადაზვერვო სამსახურია. ჩვენი პერიმეტრი, საზღვრები მთლიანად კონტროლდება, მასთან შეთანხმების გარეშე საქართველოდან ნემსსაც ვერ გაიტან. თუ ქვეყნიდან რამე გადის, ეს ჩვენს დაუძინებელ მეგობრებთან არის შეთანხმებული. აქედან გამომდინარე, იმის მიზეზი, რომ საქართველო ასეთ ქმედებებში დაადანაშაულო, არ არსებობს. მეტიც, 26 სექტემბრიდან ამერიკიდან და ევროკავშირიდან შემოყვანილი ტრანსპორტის რუსეთისა და ბელორუსის მიმართულებით გაყვანა აიკრძალა. ქართველი დილერები იძულებულნი არიან, სადილერო ლიცენზიები, რაც კოდების სახით აქვთ აღებული, ამერიკულ აუქციონებზე შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლებს ყაზახებს, უზბეკებს, ტაჯიკებს მიჰყიდონ. შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე ავტომანქანებით ვაჭრობას ისინი აგრძელებენ — ქართველი დილერების მიერ შეძენილ ავტომობილებს ხვდებიან და პირდაპირ შუა აზიაში ეზიდებიან. ჩვენი სადილერო კომპანიები კოტრდება, ასევე, ინდივიდუალური მეწარმეებიც. ასე რომ, უკრაინის დეპუტატის ნათქვამი, თითიდან გამოწოვილი ტყუილია. სიმართლეც რომ იყოს, მაშინ ეს აშშ-სთან შეთანხმების გარეშე ვერ მოხდება და პასუხი ამერიკის საელჩოს მოჰკითხონ.

თამარ შველიძე

ძალლი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა...

ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე „ქართული ოცნების“ ინიციატივამ ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა. შედეგად, დოკუმენტი, რომელიც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირში ინტეგრაციას ეხებოდა, ევრონესტზე აღარ განიხილება.

რეზოლუციის ინიცირებისთვის ათი ხმა იყო საჭირო, მაგრამ ხელი მხოლოდ „ქართული ოცნების“ დელეგაციამ და მოლდოვამ მოაწერეს, ხოლო უკრაინის დელეგაციამ და საქართველოს ოპოზიციამ ხელმოწერაზე უარი განაცხადეს.

დიახ, არაფერი შემშლია, ის ოთხეული საქართველოდან, რომელიც ბრიუსელში ევრონესტზე იყო წარმოდგენილი: გიორგი ვაშაძე, ანი წითლიძე, თამარ კორძაია და გიორგი ბოტკოველი, ხელისუფლების ოპოზიცია კი არა, საქართველოს ოპოზიციაა.

ნეტავ, რატომ გაუკვირდა ვინმეს — ეს ხომ საქართველოს დააკლდა, ხოლო რაც საქართველოს დააკლდება, მათ შეემატებათ, ვითომ ოპოზიციას, რეალურად კი უსამშობლო ბოროტ მავნებლებს.

ეს რა მოუშორებელი ჭირი გვჭირს?

ერთი კვირა მაინც გავიდეს ისე, რომ ქართველების მიერვე საქართველოს წინააღმდეგ გამოხდომა არ დაფიქსირდეს!

აბა, საქართველოს საზიანო რეზოლუცია №1633 ყოფილიყო, ერთმანეთს თავზე გადაევლებოდნენ კისრისტეხით და ისე მოაწერდნენ ხელს

არსებობს ეჭვი, რომ მათ უკრაინაში გადაქაჯული კიდევ ერთი უსამშობლოს, დავით არახამიას მითითება შეასრულეს, რადგან ამ კაცუნას მონოპოლიურად აქვს ჩაბღუჟული ყველა მიმართულება, რაც საქართველოს ეხება — ვითომ ქართველია. საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, უკრაინაში აღზევებული ეს მდაბიო კაცისებრი მხოლოდ გვარს ატარებს ქართულს, მეტყველებით — რუსულ ენაზე მეტყველებს, საქმით — ჯერ მხოლოდ საქართველოს მტრობს. იმ უკრაინისთვისაც კი, რომელმაც რაღაც პერსონად აქცია და გაღლეტილ-დამშეული თვალში გამოახედა, არაფერი გაუკეთებია სასიკეთო.

რა ეწერა რეზოლუციაში? — რეზოლუცია მომზადებული იყო საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროინტეგრაციის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და რუსული აგრესიის დაგმობის შესახებ ჩანაწერით, მაგრამ დახეთ, რუსეთთან ომში მყოფმა უკრაინამ და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს წარმომადგენლებმა ეს ყველაფერი უარყვეს, არ დაეთანხმნენ, ფაქტობრივად, არ აღიარეს. ესენი იმზირებიან დასავლეთისკენ?

საქართველოს ოპოზიცია რასაც წარმოადგენს, კარგად ვიცით, მაგრამ უკრაინელებიც კარგი ხვითოები ყოფილან!

დრო ყველაფერს გამოაჩენს. ალბათ, არ მოგვიწევს დიდხანს ლოდინი და დავინახავთ, როგორ გაუყვებიან ომის დანაშაულის ბრალდებას გადარჩენილი დღევანდელი ბობოლა უკრაინელები ალექსეი არესტოვიჩის გაკვალულ გზას...

ბრიუსელიდან ჩამოსულ მავნებლებს აეროპორტში ქართველი ახალგაზრდები დახვდნენ და „მოღალატეს“ და „მონას“ ძახილებით ვითომ შეარცხვინეს, მაგრამ რანაირად შეარცხვენ ადამიანს, რომელსაც შუბლის ძარღვი გაწვეტილი აქვს? ესენი ის ადამიანები არიან, ბოლოს როდის გაწითლდნენ, სრულებით რომ არ აგონდებათ...

საკუთარი ქვეყნის აეროპორტში რომ გეკითხებიან, რამდენად გაიყიდეო და შენი ხალხისგან თავდასაღწევად პოლიციის რაზმის დახმარება გჭირდება, შენ, უშნო ნიანგივით მაინც გაღიმებულს, ოდნავ მაინც უნდა შეგრცხვეს, მაგრამ ამათ ხომ სირცხვილის გრძნობა, დიდი ხანია, უცხო ქვეყნის შარაზე გამობმულებმა დაკარგეს...

საქმე ის გახლავთ, რომ ეს ქვეყნის ბალასტი, ფსევდომედასავლეთეებიც კი არ არიან, არაფერი და არც არავისტები არ არიან, მხოლოდ საკუთარი თავისტები არიან და, შესაბამისად, ვინც კარგად გადაუხდით, იმათიანები იქნებიან, ტიპური კოსტაიები არიან. ეს ის კატეგორიაა, ფულს რომ სუნი არ უდის და კარგი საფასურის სანაცვლოდ, საზოგადოებრივი საპირფარეშოს მცველებად დიდი სიამოვნებით დადგებიან...

რა დონის უტიფრებიც არიან, მათივე კომენტარებში გამოჩნდა — ერთი ამბობდა, რომ რეზოლუციის ტექსტი მათთან არ იყო შეთანხმებული და ამიტომ არ მოაწერეს ხელი; მეორე ამბობდა, იმიტომ არ მოვაწერეთ ხელი, რომ საქართველო რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს არ შეუერთდაო; მესამე ამბობდა, ხომ ხედავთ, ასამბლეის მონაწილეებმა არ დაუჭირეს მხარი, ვერ შეაგროვეს ხმებიო; მეოთხე ამბობდა, რეზოლუცია თვალით არ მინახავსო და ა. შ. მეორე-მესამე წრეზე ახალ-ახალი ვარიანტებით პასუხობდნენ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კი სეფე-სიტყვა თქვა, მაკა ბოჭორიშვილმა რეზოლუციის ინიცირება ევრონესტის ქართული დელეგაციის ოპოზიციონერი წევრების გვერდის ავლით სცადა, ამიტომ რეზოლუციის ინიცირების მცდელობა ოპოზიციისგან დამოუკიდებლად ჩავარდაო.

ვინ არიან ეს უგვანი უმეცრები, სირცხვილი არ არის, რომ ეს გაურკვეველი სახის არსებები საერთოდ ჩანდნენ პოლიტიკაში?

თამარ კორძაია, მიუხედავად ლგბტ პირებისადმი უდიდესი სიმპათიისა, არ ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ბაიბურში არ არის არაფრისა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისიც გვარიანად აჭრილი ყოფილა — რეზოლუციის ინიცირებას საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას წარმომადგენლებისგან ხელმოწერა სჭირდებოდა და არა ვინმე სხვებისგან. შენ თუ ფეხზე გკიდია შენი ქვეყანა, ვიღაც ევროპარლამენტარები რა ვალდებულები არიან, შენს ქვეყანაზე იზრუნონ და შენი ქვეყნის ინტერესები დაიცვან — მათ თავიანთ ქვეყნებზე ზრუნვა ევალებათ, თუმცა, ეს მათი რატრატი, ალბათ, მათნაირ უმეცრებზეა გათვლილი, ხოლო საქართველოში რომ უმეცრების ზეიმია, ასეთი, ჯუნგლების რომელიღაც ტომშიღა თუ იქნება...

„სამწუხაროა, რომ ეს რეზოლუცია, ალბათ, თავიდანვე იმისთვის შედგა, რომ მხარი არ დაჭერილიყო და ამიტომ არ იყო კომუნიკაცია ჩვენთან. რა შედეგიც მივიღეთ, რა თქმა უნდა, ეს არის საზიანო ჩვენი სახელმწიფოსთვის,“, — ისე უტიფრად განაცხადა გიორგი ბოტკოველმა, ჩემს წარმოსახვაში ცივგომბორის მაჩვად გარდაისახა.

„სახელმწიფოსთვის საზიანო“ რომ იყო და ხელის მოუწერლობით ერთგვარ ზიანს მიაყენებდნენ საქართველოს, ამიტომ არ მოაწერეს ხელი, მაგრამ ისე მოუვიდათ, უტვინო თავი ფეხებს ძალას რომ ატანს — ევრონესტზეც ნათლად დაინახეს ოპოზიციად რა სახის მავნებლები ჰყავს საქართველოს ხელისუფლებას.

ამ დეგრადირებულ ადამიანებს ვერაფრით გააგებინებ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ, როდესაც საქვეყნო საქმე კეთდება, საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე უნდა იფიქრო და არა ხელისუფლების

წარმომადგენლების კონკრეტულ სახეებზე. თუმცა, სად აქვთ საკუთარი ქვეყანა, სადაც კარგ დახლს დაუდგამენ, მათი ქვეყანაც ის იქნება...

ამ ნაკრებს ხომ ერთადერთი ინტერესი აქვს, მთავარია, რამენაირი შესაძლებლობა მიეცეთ, — ფორმატი იქნება, პლატფორმა, რეზოლუცია თუ სხვა რამ, რაც საერთაშორისო არენაზე სიტყვის თქმას ნიშნავს, აუცილებლად საქართველოს წინააღმდეგ უნდა გამოიყენონ.

ამ ნაცგვარდიის ე. წ. პოლიტიკურ სპექტრს რომ ვუყურებ (ჭიაღუებს არაფრად ვაგდებ), პარტიაში ჩარჩენილებსაც და გაშლილ-გაფანტულებსაც, ვხვდები, რამდენი დრო გასულა — ორ კაპიკზე მოსკოვში დარბოდნენ პრიმაკოვ-კოჟოკინთან, ახლა კი ასიათასობით აშშ დოლარი აღარ ჰყოფნით, ჭამაში მადა მოუვიდათ. ჩემ თვალწინ გაიზარდნენ და გაჭაღარავდნენ კიდეც. ვუყურებ და ქართული ანდაზა მახსენდება — გიორგობულა გოჭიო, გაზაფხულზე ღორიაო...

სერიოზულად მაინტერესებს, ასე ერთნაირები დაბადებიდან არიან ე. წ. ოპოზიციონერები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ (მათზე მიტმასნილი „რესპუბლიკური პარტიითა“ და ხლამიანად) თუ ნორმალური ადამიანები იყვნენ, მაგრამ ისინ ეროვნულ ინტერესებზეა გათვლილი, ხოლო საქართველოში რომ უმეცრების ზეიმია, ასეთი, ჯუნგლების რომელიღაც ტომშიღა თუ იქნება...

„სამწუხაროა, რომ ეს რეზოლუცია, ალბათ, თავიდანვე იმისთვის შედგა, რომ მხარი არ დაჭერილიყო და ამიტომ არ იყო კომუნიკაცია ჩვენთან. რა შედეგიც მივიღეთ, რა თქმა უნდა, ეს არის საზიანო ჩვენი სახელმწიფოსთვის,“, — ისე უტიფრად განაცხადა გიორგი ბოტკოველმა, ჩემს წარმოსახვაში ცივგომბორის მაჩვად გარდაისახა.

„სახელმწიფოსთვის საზიანო“ რომ იყო და ხელის მოუწერლობით ერთგვარ ზიანს მიაყენებდნენ საქართველოს, ამიტომ არ მოაწერეს ხელი, მაგრამ ისე მოუვიდათ, უტვინო თავი ფეხებს ძალას რომ ატანს — ევრონესტზეც ნათლად დაინახეს ოპოზიციად რა სახის მავნებლები ჰყავს საქართველოს ხელისუფლებას.

ამ დეგრადირებულ ადამიანებს ვერაფრით გააგებინებ იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ, როდესაც საქვეყნო საქმე კეთდება, საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობაზე უნდა იფიქრო და არა ხელისუფლების

უკრაინის დელეგაციის ყრუბანჩალა წარმომადგენლებზე სიტყვის თქმაც კი მეზარება, იმდენად უგვანოდ იქცევიან იმთავითვე...

დოკუმენტში მოწოდებული იყო, რომ ევროკავშირს სასწრაფოდ გაეხსნა მოლაპარაკებები აღნიშნული სამი კანდიდატი ქვეყნისთვის.

ხელისუფლების არ ვიცი, მაგრამ საქართველოს რიგითი მოქალაქეებისთვის დღესავით ნათელია, რომ ევროკავშირს თავისი მიზნები აქვს, 12 და 9 დათქმა კი არა, საკუთარი მოგონილი ზედდართული 749 დათქმა რომ შეასრულოს საქართველომ (ან სხვა ქვეყანამ), თუ ევროკავშირის ინტერესში არ არის, დოს მარილიც დააკლდება და იმის იქითაც წავა — ჩვეულებრივი მედდეხვალიე მუქთამჭამელი ორგანიზაციაა. ეს ჩემი შეფასება არ არის. ასე აფასებენ ევროკავშირს ევროპის ქვეყნების პირუთვნელი წარმომადგენლები იმავე ევროპარლამენტსა თუ მის გარეთ... გეკუთვნით, ჰო, გეკუთვნით, მაგრამა არ გეკუთვნითო, — ასეა ჩვენი საქმე და ასეც დარჩება. ვისაც რაიმე კარგის იმედი აქვს ევროპიდან, ჰქონდეს, ნეტარ არიან მორწმუნენი...

თუ ასე არ არის და ხალხი ვცდებით, აგვიხნან, რაშია საქმე, რატომ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოლაპარაკებები გაიხსნას ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, როდესაც საქართველო ყველა პარამეტრით მასზე და უკრაინა-მოლდოვაზე მაღლა დგას.

სამივე ქვეყანაზე ყველაფრით მაღლა მდგომი საქართველო თუ მიუღებელია მათ ე. წ. ევროპულ ოჯახში (ოჯახის დეფინიცია როგორც ესმით, ევროკავშირიც ისეთ ევროოჯახად აქვთ, ალბათ), ამის თქმა პირდაპირ შეუძლიათ და რატომღა იქცევიან წინაპარი მოღალატე რაინდებივით, გენი მაინცდამაინც ჩვენზე უყივით?

მშვენივრად ვხედავთ, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებები მთელ რიგ შემთხვევებში (ევროვიზიისა არ იყოს), დამსახურებაზე კი არა, არამედ რაღაც სხვაზე, თუნდაც იმ დროს არსებულ წამიერ მოცემულობაზეა დაფუძნებული,.

ამდენად, 9 ნაბიჯთან დაკავშირებით რა სამუშაო ფორმატები ექნება საქართველოს საპარლამენტო ნაწილს, ვისთან ერთად განიხილავენ და რამდენი მოსმენით მიიღებენ, აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ევროკავშირისთვის.

ესენი ხომ იგივენი არიან, ბატონ ღარიბაშვილს წერილი რომ მოსწერეს, პოლიციელებზე „მოლოტოვის კოქტეილების“ დამშენებს თითი არ დააკაროთ, პირიქით, ბოდიში მოუხადეთ, ხოლო ის პოლიციელი, რომელმაც წყლის ჭავლის მიშვების ბრძანება გასცა, უმკაცრესად დაისაჯოსო?

კაცმა რომ თქვას, როცა ვიღაცას არ უნდიხარ და თვითონ არ გეპატიჟება სახლში კი არა, აბეზარი წუკლაკი ძაღლივით ფეხით გიგერიებს მასზე ადევნებულს, რომ რამენაირად სახლში არ შეუვარდე, რატომ უნდა ეღრიჯო, სახლში შემომიშვიო; როცა, იმ სახლში თუ შეგიშვა, პარმაღის სიახლოვეს ვერ გაცდები, შავი მოსამსახურის ფუნქცია გექნება და ვერასდროს ვერ აიწევ ერთი საფეხურითაც კი, თავი რატომ უნდა დაიმცირო?

არ ვიცი, არ ვიცი!..

ყველა — ყველა და, იმ ოთხი დაცურებულის ბრიუსელში წასვლის მიზანი ვერ გავიგე, რეზოლუციას ხელი არ მოაწერეს და მათი ხილვის წადილით გულშეღონებული იქ არავინ იყო, საქართველოში დაბრუნებულები თბილისის აეროპორტში გინების მოსმენას ესწრაფვოდნენ?

ძაღლი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა...

მაია ჯელიძე

უმთავრესი პრინციპი სიმართლის თქმაა

საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ პოლიტიკურ პარტიად დარეგისტრირდა. ახალდაფუძნებულ პარტიას სოზარ სუბარი უხელმძღვანელებს და ახლა უკვე, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობის მხარდაჭერისთვის ერთით მეტი პოლიტიკური გაერთიანება იბრძოლებს. შეიცვლება თუ არა სტატუსის ცვლილების შემდეგ მათი პრიორიტეტები, პრინციპები და მიზნები, „საერთო გაზეთთან“ პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი თამარ ჩიბურდანიძე ისაუბრებს:

- თამარ, გილოცავთ! იყო მოლოდინი და მოთხოვნაც საზოგადოების მხრიდან, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ პარტიად ჩამოყალიბებულიყო. თუმცა რატომ სწორედ ახლა, რა იყო ამის მთავარი მოტივაცია?

- დიდი მადლობა! მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან ნამდვილად იყო, რადგან, როდესაც საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკური მიზნებისთვის ფუძნდება პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც წელიწად-ნახევრის განმავლობაში პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, ხალხი მათ მაინც პოლიტიკურ გუნდად მიიჩნევს. ამდენად, დროული იყო მოძრაობის პარტიად დარეგისტრირება. გარდა ამისა, გვაქვს ძალიან დიდი განაცხადი არჩევნების შემდეგ: ჩვენ ვითხოვთ, რომ აუცილებლად გასამართლდეს „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური პარტია და მოხდეს „აგვისტოს ომის“ გამოძიება. ამ ძალიან დიდ საქმეს კი მაღალი ლეგიტიმაცია სჭირდება, რასაც მხოლოდ საზოგადოებრივი ჯგუფის სახელი არ ეყოფოდა. ამიტომ გვჭირდება წარმომადგენლობითი პარტია პარლამენტში, იმ მთავარი მიზნების განსახორციელებლად, რისთვისაც ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობა დაფუძნდა.

- თქვენი, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთი მიზანი იყო, გაგეხმოვანებინათ ის დაფარული სიმართლე, რისი თქმის უფლებაც მმართველ გუნდს არ ჰქონდა. პარტიად ჩამოყალიბება ამ მიმართულებით ერთგვარი ხელისშემშლელი ფაქტორი ხომ არ იქნება?

- აუცილებლად შევინარჩუნებთ ჩვენს პრინციპებს. ჩვენი მოძრაობის და ახლა უკვე პარტიის დაფუძნების მთავარი პრინციპი იყო, არის და იქნება იმ სიმართლის თქმა, რაც კულისებში იმალება. სწორედ „ხალხის ძალის“ დამსახურებაა, რომ ქვეყანას ავარიდეთ ომი, საფრთხე - რომელშიც სახელმწიფოს ითრევდნენ. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებებში „ქართული ოცნება“ იყო უპირველესი, მაგრამ რომ არა ჩვენი ხისტი განცხადებები და გამბედაობა, შესაძლოა, ყველაფერი სხვაგვარად განვითარებულიყო. გამბედაობაზე კიდევ მეტი იყო, რაც „ხალხის ძალის“ დამფუძნებელმა სამმა ადამიანმა, სოზარ სუბარმა, დიმიტრი ხუნდაძემ და მიხეილ ყაველაშვილმა, გუნდთან ერთად გააკეთეს - მათ გაბედეს და დაიწყეს სიმართლის თქმა. შემდეგი იყო ბრძოლა სტატუსის მოსაპოვებლად და რომ არა „ხალხის ძალა“, საქართველო სტატუსს ვერ მიიღებდა.

ზოგი ამბობს, რომ „ხალხის ძალა“ ანტიდასავლური რიტორიკით გამოირჩევა, მაგრამ ჩვენ ვპასუხობთ მათ, რომ ჩვენთვის ღირებულია ის ევროპა, რომელიც დღეს ნაკლებად ჩანს, თუმცა, არსებობს. ევროპა დაფუძნდა ღირებულებებზე და ჩვენ სწორედ ამ ღირებულებებისკენ ვისწრაფვით. თუკი კრიტიკულ განცხადებებს ვაკეთებთ, ეს არის არა ევროპის, არამედ, იმ კონკრეტული პოლიტიკოსების წინააღმდეგ მიმართული განცხადებები, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ და მის ირგვლივ შემოკრებილ ერთიან გლობალური ომის პარტიებს ლობირებენ. სტატუსის მოსაპოვებლად ძალიან ბევრ დეზინფორმაციას დავუპირისპირდით. ახლა კი უკვე დავსვით საკითხი, რომ „აგვისტოს ომის“ გამოძიება უნდა დაიწყოს, რადგან ეს იყო უდიდესი ღალატი ქვეყნის წინაშე. „ნაცმოძრაობას“ თავად აქვს ხელი მოწერილი იმ რეზოლუციაზე, რითაც საკუთარ ჯარს ომის დაწყება დააბრალეს. ამასთან დაკავშირებით კითხვები აქვს ქართველ ხალხს და განსაკუთრებით, იმ დევნილებს, რომლებიც საკუთარი მიწიდან გამოაძევეს.

პირველ რიგში, უნდა აღდგეს მუხლი სამშობლოს ღალატის შესახებ, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა კონსტიტუციიდან ამოიღო, რადგან თავად იყო სამშობლოს მოღალატე და არ უნდოდა, ამით დისკომფორტი შეექმნა. ამიტომაც გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში. ჩვენ ამ მუხლს აუცილებლად დავაბრუნებთ და სწორედ ამ მუხლით გასამართლდება „ნაციონალური მოძრაობა“.

- თავად სახელწოდება „ხალხის ძალა“ საკმაოდ მრავლისმთქმელია, რაც, ჩემი აზრით, ერთგვარი პრეზენტაბელური განაცხადიც არის პარტიის დამფუძნებლების მხრიდან. მაინც, რა იქნება თქვენი მუშაობის მთავარი პრინციპი, მიზნები, მთავარი მესიჯი?

- პარტიის პრინციპი და მთავარი მესიჯები, რაც ჩვენმა ლიდერებმა უკვე გაავრცელეს, არის ის, რომ: ძალა სიმართლეში, გამბედაობასა და გონიერებაშია. ძალა ხალხშია! სწორედ აქედან გამომდინარე, სიმართლე არის უმთავრესი პრინციპი. დაიღალა ხალხი ამდენი ტყუილით, ამდენი პოლიტიკური თამაშით, არამხოლოდ ჩვენთან - მსოფლიოში. დღეს მსოფლიო პოლიტიკური თამაშები უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე თავად პოლიტიკა, როგორც მეცნიერება. მახსენდება მაკიაველის სიტყვები, რომელიც წერდა, რომ „ხალხი არის სათამაშო პოლიტიკოსების ხელში“. ეს თამაში უფრო და უფრო სახიფათო ხდება, დეზინფორმაციის კასკადი მოდის ყველა მხრიდან და ამის მოთმენა აღარ შეიძლება. ყველაზე ღირებული რაც არის პოლიტიკაში, ის დაიკარგა - პოლიტიკა აცდა სიმართლეს. არისტოტელემ, რომელიც, ფაქტობრივად, პოლიტიკის ფუძემდებელია, გვიანდერძა, რომ პოლიტიკა არის ყოველგვარი სიკეთის საწყისი და თუკი პოლიტიკოსი ამ გზას აცდება - სახელმწიფოს დაანგრევს. უკვე იმდენად აიმღვრა მსოფლიო პოლიტიკა, სიმართლე სად არის, რთული გასაგებია. უამრავი ფაქტის გაშიფვრა გვჭირდება ანალიტიკოსებს იმისათვის, რომ მივხვდეთ, სად არის სიმართლე, საიდან იწყება, რისთვის კეთდება, რისთვის არის ესა თუ ის ქმედება გამიზნული... სიყალბე კი, როცა კულმინაციას აღწევს, მას შემდეგ იწყებს ვარდნას და სწორედ ახლა იწყება მისი ვარდნის პროცესი. საქართველოში „ხალხის ძალა“ ვართ სწორედ ის ძალა, რომელმაც კულმინაციამდე მისული დეზინფორმაციის ვარდნას შეუწყო ხელი და ახლა ამას ვერაფერი შეაჩერებს. ჩვენ გავაშიშვლეთ დეზინფორმაციული პოლიტიკა და მისი შეფუთვა უკვე შეუძლებელია.

ბასრია სიმართლის მახვილი პოლიტიკაში და ამიტომაც, ძალიან ძნელია „ხალხის ძალის“ ოპონირება ოპოზიციის მხრიდან. **ხელთ გვაქვს ფაქტები და ინფორმაციები, რომლებიც „ხალხის ძალის“ ლიდერებს ჯერ არ გაუხმიანებიათ,** არ ჩათვალეს ჯერჯერობით საჭიროდ, მაგრამ თუ საჭირო გახდა, ბოლომდე იტყვიან სათქმელს. ოპოზიციამ იცის ეს ყველაფერი და ამიტომ აქვთ სწორება „ხალხის ძალაზე“.

- ცნობილია, რომ მმართველი გუნდი თქვენი პარტიის მხარდამჭერია. თუმცა, საინტერესოა, რა ფორმით მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას „ხალხის ძალა“?

- ძალიან ბევრი კითხვა ისმის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დამოკიდებულებაში ვიქნებით მმართველ გუნდთან, - როგორც ოპოზიცია თუ როგორც მათი ხედვების გამზიარებელი. ღიად ვაცხადებთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ვართ, სრულიად ვიზიარებთ ხელისუფლების მიდგომებს, პოლიტიკას, საშინაო თუ საგარეო კურსს, მაგრამ გვაქვს ჩვენი შეხედულებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ საჭიროა, უფრო მაღალი დოზით ითქვას სიმართლე, გვაქვს ხისტი და პრინციპული პოზიციები, რაც ჩვენი პოლიტიკური ხელწერაა. „ხალხის ძალა“ თავისი პოლიტიკური ორიენტირით აძლიერებს ხელისუფლებას და არა პირიქით. ჩვენ არ ვთვალთმაქცობთ, როგორც თვალთმაქცობს ოპოზიცია, რომ თითქოს ერთმანეთთან დაპირისპირებულები არიან, სინამდვილეში კი, ყველა ერთად „ნაცმოძრაობას“ აძლიერებს და ყველანი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილზე მუშაობენ.

ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რა ფორმით მივიღებთ არჩევნებში მონაწილეობას. ამ საკითხზე განაცხადს „ქართული ოცნებისა“ და „ხალხის ძალის“ ლიდერები გააკეთებენ.

- ალბათ, ახალი სახეები გეყოლებათ. ვის ვიხილავთ „ხალხის ძალის“ შემადგენლობაში?

- ჩვენთან სპეციალურად ჩამოფრინდა საფრანგეთიდან ქალბატონი ნატა დარჩიაშვილი-ტაპია, რომელიც დიდი ხანია პარიზში ცხოვრობს, აქვს ორმაგი მოქალაქეობა და ყველაზე დიდი ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრია, რომელსაც სალომე ზურაბიშვილის ძმა ხელმძღვანელობს. როცა ეს ქალბატონი სალომე ზურაბიშვილმა ნახა ტელევიზიით, პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, ზუსტად ხუთ წუთში დაურეკა მას და ჰკითხა, მართლა გაწევრიანდა თუ არა „ხალხის ძალაში“. ეს იყო შოკი პრეზიდენტისთვის. მოულოდნელი იყო მისთვის, რომ საფრანგეთიდან, მისი ქალაქიდან, ქართველთა სათვისტომოდან, სადაც 5800 ჩვენი თანამემამულეა გაერთიანებული და ყველას აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება, - ჩამოვიდა ძალიან დიდი ავტორიტეტი, ამხელა სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმატებული ქართველი, დიდი კომპანიის ფინანსური დირექტორი და ჩვენს პარტიაში გაწევრიანდა.

ვპირდებით პრეზიდენტს, რომ ის კიდევ მრავალ ასეთ „შოკს“ მიიღებს, რადგან ჩვენს პარტიას ძალიან მალე შემოუერთდებიან ევროპის 5-6 ქვეყნიდან, ასევე აშშ-დან ორმაგი მოქალაქეობის მქონე ჩვენი წარმატებული თანამემამულეები, რომლებმაც ყრილობაზე ჩამოსვლა ვერ მოასწრეს. ამ ადამიანებს ველით მაისში, დიასპორის დღეებზე, სადაც მოწვეული არიან მომხსენებლებად და სწორედ აქ გაიცნობს მათ ქართველი საზოგადოება. ამგვარად, მითი იმის შესახებ, რომ „ხალხის ძალა“ პრორუსული პარტიაა, იმსხვრევა. წარმატებული ქართველები, რომლებიც ასევე, ევროპელებიც არიან და ევროპის შუაგულში ცხოვრობენ, არ შევლენ „პრორუსულ“ პარტიაში, ეს აქსიომაა!

ასევე, ჩვენს პარტიას შემოუერთდნენ არაჩვეულებრივი ახალგაზრდები ევროპული უნივერსიტეტებიდან, მადრიდისა და ჩეხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან, საფრანგეთიდან, ლონდონის უნივერსიტეტიდან... ისინი შედიან იმ პარტიაში, რომელიც ეროვნული ღირებულებებითა და ფასეულობებით ისწრაფვის ევროკავშირისკენ. ჩვენ გვინდა ევროპა თავისი ფასეულობებით, მაგრამ ჩვენ არ გვინდა ის ევროპა, რომლისთვისაც მიხეილ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა.

როგორც ლონდონის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა მითხრა, თუკი აქამდე ჩვენი ქვეყნის კულტურას და ტრადიციებს აცნობდნენ უცხოელებს ქართველები და ამით ამაყობდნენ, დღეს უკვე ამაყობენ იმით, რომ საქართველო შემდგარი სახელმწიფოა და თავის სუვერენიტეტს იცავს. ანუ, რაც „ხალხის ძალამ“ შემოიტანა ქართულ პოლიტიკაში, ამით შემატა ღირსება ჩვენს ემიგრანტებს უცხოეთში. ამიტომ არის ემიგრანტებისთვის მოსაწონი ჩვენი პოლიტიკა. ვერც ოპოზიცია და ვერც სალომე ზურაბიშვილი ვეღარ შეძლებენ, მათზე თავიანთი ტყუილები „გაყიდონ“.

როგორც დემოგრაფიული ფონდის ხელმძღვანელს, სადაც მიგრაცია ერთ-ერთი მთავარი თემაა, ახლო ურთიერთობა მაქვს დიასპორულ ორგანიზაციებთან, ვიცი ემიგრანტების განწყობა და ვიცი, რომ ამ არჩევნებს ხელისუფლება და „ხალხის ძალა“ ყველა ქვეყანაში უპირობოდ მოიგებს. მათ შორის, პირველ რიგში, მოიგებს სწორედ საფრანგეთში, პარიზში, საიდანაც არის ჩამობრძანებული ჩვენი პრეზიდენტი.

ნონა ქარქაშაძე

არა ტერორიზმს!!!

საქართველოს მთავრობა გმობს მოსკოვში მომხდარ შემზარავ ტერორისტულ აქტს, რომლის შედეგად ათეულობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ვუსამძიმრებთ რუს ხალხს. ვუსამძიმრებთ დაღუპულების ოჯახებს. დაშავებულებს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ

ტერაქტს, რომელიც გასულ პარასკევს, 22 მარტს მოსკოვში მოხდა, ისევე, როგორც არცერთ ტერაქტს, გამართლება არ აქვს. ომი ომია, იბრძვის ორი (ან მეტი) მხარე და არის მსხვერპლი, მაგრამ ეს ომის თანმდევი საშინელებაა. ტერაქტი კი არასდროს არის მიმართული მოწინააღმდეგის მეომარი ძალების ან მთავრობების წინააღმდეგ, მას მხოლოდ მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებიან.

შეიარაღებული პირები „კროკუს სითი ჰოლში“ შეიჭრნენ, სადაც მუსიკალური ჯგუფის „პიკნიკის“ კონცერტი ტარდებოდა და ცეცხლსასროლი იარაღით დახოცეს და დაჭრეს მშვიდობიანი მოქალაქეები. დაშავებულთა და დაღუპულთა შორის ბავშვებიც არიან, რადგან კომპლექსის ერთ-ერთ ფლიგელში საბავშვო კონკურსი მიმდინარეობდა, სადაც ვოლოგდიდან და ჩერეპოვეციდან ჩასული ბავშვები მონაწილეობდნენ.

თავდაპირველად ეჭვი გამოითქვა, რომ შეიარაღებული პირები „რდკ“-ის (რუსსკი დობროვოლჩესკი კორპუს) წარმოადგენდნენ, რომლებიც უკრაინაში მცხოვრები რუსი ეროვნების პირებისგან შედგება, მაგრამ უკრაინის მხარეს იბრძვიან, თუმცა მოგვიანების „სი-ენ-ენ“-მა გადმოსცა, რომ ტერაქტზე პასუხისმგებლობა „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. განცხადება „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებულმა საინფორმაციო სააგენტო „ამაქ“-მა „ტელეგრამის“ არხზე გამოაქვეყნა, თუმცა „ისლამურ სახელმწიფოს“ ამ განაცხადის დასადასტურებლად მტკიცებულება არ წარუდგენია.

გავრცელდა ოთხი ტერორისტის ფოტოები და ვინაობა, რომელთაგან ყველა ტაჯიკეთის მოქალაქეა. გამოძიებამ უკვე დაადგინა, რომ მანქანა, რომლითაც ტერორისტები გადაადგილდებოდნენ ერთი კვირის წინათ იყიდეს მოსკოვში.

რუსეთის სახელმწიფო დუმამ „კროკუს სითი ჰოლში“ ტერორისტული თავდასხმის ორგანიზატორებად აშშ და დიდი ბრიტანეთი დაასახელა — სახელმწიფო დუმის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანდრეი ლუგოვოი.

მომხდარი ტერაქტის გამო მწუხარება და სამძიმარი გამოთქვა არაერთმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის სამსახურმა და ა. შ.

უკრაინამ სასტიკი უარი განაცხადა ტერაქტთან რაიმე კავშირზე და ისეთი სიტყვათაწყობა ჰქონდა ზელენსკის, რომ ბწკარებშუა იკითხებოდა, რუსეთმა თვითონვე მოაწყო და ახლა სხვაზე უნდა გადაბრალებაო; აშშ-მა კატეგორიულად გამორიცხა უკრაინის ხელი ტერაქტში, რაზეც რუსეთის მხარემ მკაცრი კრიტიკა-მოთხოვნათ უპასუხა, თუ რაიმე დადასტურებულად იცით, გვითხარით, უკრაინისთვის ინდულგენციების გაცემას არავინ გეკითხებათო.

„ჩვენ დავადგენთ და დავსჯით ყველას, ვინც დგას ტერორისტების უკან, ვინც მოამზადა ეს სისასტიკე, თავდასხმა რუსეთზე, ჩვენს ხალხზე. ტერორისტები მიმალვას ცდილობდნენ და გადაადგილდებოდნენ უკრაინის მიმართულებით, სადაც წინასწარი მონაცემებით, მათთვის უკრაინულ მხარესთან ერთად მომზადებული იყო „ფანჯარა“ სახელმწიფო საზღვრის გადასაკვეთად. სულ დაკავებულია 11 ადამიანი საგამოძიებო და სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს გააკეთებენ დანაშაულის ყველა დეტალის დასადგენად, მაგრამ უკვე აშკარაა, რომ ჩვენ არა მხოლოდ დეტალურად და ცინიკურად დაგეგმილი ტერაქტის, არამედ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ მომზადებული და ორგანიზებული მასობრივი მკვლელობის წინაშე ვდგავართ.

ამ დანაშაულის ყველა მონაწილეს, ორგანიზატორს, დამკვეთს სამართლიანი და გარდაუვალი სასჯელი ელოდება. ჩვენ დავადგენთ და დავსჯით ყველას, ვინც დგას ტერორისტების უკან, ვინც მოამზადა ეს სისასტიკე, თავდასხმა რუსეთზე, ჩვენს ხალხზე.

ტერორისტები, მკვლელები, ადამიანები არ არიან, მათ ეროვნება არ აქვთ და ერთი ბედი ემუქრებათ – შურისძიება და დავიწყება. მათ მომავალი არ აქვთ, — განაცხადა ვლადიმირ პუტინმა ვიდეომიმართვაში.

საინტერესოა, დამკვეთს რაში აწყობდა ამ ტერაქტის მოწყობა? ან რატომ შეარჩია ტერაქტისთვის ეს ტლუ ტაჯიკები, რომლებიც ისე არიან შეშინებულები, რაც იციან, იმასაც იტყვიან და რაც არ იციან იმასაც — საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე, „ფანჯარა უკრაინაში“ არ მიკვირს, მაგრამ დამკვეთს რა უნდა, რომ მისი ვინაობა გახმიანდეს? — ასეთი ეჭვი გამიჩნდა.

აღნიშნულ ტერაქტს მცირე ხნით წინ უსწრებდა ნატო-ს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის, ადმირალ რობ ბაუერის განცხადება, რომ ნატო-ს ქვეყნები მზად არიან რუსეთთან პოტენციური შეტაკებისთვის — დამკვეთს მესამე მსოფლიო ომის წამოწყება უნდა? (საქართველო რომ არ გამოეჩხიროს ყველაფერში, ხომ წარმოუდგენელია — რუსულ მედიასივრცეში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ტერაქტამდე ერთი კვირით ადრე, აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალების სპეციალურ დავალებათა მე-9 ესკადრილიის თვითმფრინავი, რომელსაც სპეცრაზმი გადაჰყავს - საქართველო-ყაზახეთი-ტაჯიკისტანის აეროპორტებს შორის ახორციელებდა ფრენებს... ამასთან, F-16 თვითმფრინავი ტაჯიკეთში დაბრუნდა!..)

რობ ბაუერი: „მტერი წყვეტს, როდის და სად დაგესხმება თავს და რამდენ ხანს გაგრძელდება კონფლიქტი. სამწუხაროდ, უკრაინა დარწმუნდა ამაში. მზად ვართ? პასუხია: დიახ! ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა – ვიყოთ მზად. თუ ეს დღეს მოხდება, მაშინ მოგვიწევს ბრძოლა იმით, რაც გვაქვს.

ახლა ჩვენ გვყავს რვა ასეთი ბატალიონის ზომის საბრძოლო ჯგუფი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გაერთიანდეს ბრიგადაში. შესაბამისი ქვეყნები მუდმივად მუშაობენ ამ მექანიზმზე. თუ მეტი იქნება საჭირო, მაშინ განვიხილავთ. მაგრამ ჯერჯერობით ეს საკმარისია.

გულუბრყვილობა იქნებოდა მხოლოდ აღმოსავლეთ ფლანგზე ფოკუსირება, რადგან რუსები არა მხოლოდ იქ არიან. ისინი ყველგან არიან, ამიტომაც ნატო მუდმივად აკვირდება მათ ქმედებებს და საჭიროების შემთხვევაში პასუხობს.

ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთს აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის იარაღის წარმოების უნარი, მაგრამ მისი ხარისხი მუდმივად იკლებს ომის დაწყებიდან. მათ აქვთ გარკვეული გეგმები, მაგრამ ომში არიან, ამიტომ მათ დიდი დრო სჭირდებათ. მათთვის ეს ადვილი არ იქნება“.

მოკლედ, ვინც უნდა იყოს ტერაქტის ორგანიზატორი, როგორც ყველა გზა რომში მიდიოდა, ისე მიდის ყველა გზა უკრაინის ომთან, უკრაინასა და უკრაინის სამხედრო მეგობრებთან.

და იქმნა უკუნი...

ამასწინათ მულტიპლიკაცურ სტილში გაკეთებული საქართველოსთვის ძალიან ცუდი რამ ვნახე — ანიმაციურ სიუჟეტში რულეტკას თამაში მიმდინარეობს, სადაც ტანკები და სისხლისღვრაა, ამ გზით მოპოვებული ოქროს ზოდები კი ვიღაცის მაგიდაზე ხვავდება. რულეტკის მაგიდაზე უკრაინის გვერდზე „საქართველო“ აწერია.

ვფიქრობ და, საბჭოთა კავშირისა და მიხეილ სააკაშვილის „შეგონებანი“-ს გარდა არაფერი მაგონდება, რაც საქართველოსა და უკრაინას ერთმანეთთან აკავშირებს და რა ორი ხალხის ისტორიული მეგობრობა აუტყდა საქართველოს ხელისუფლებას?! დავით გურამიშვილი თუ უკრაინაში გარდაიცვალა, ასე, საქართველოში, დიდუბის პანთეონშია დაკრძალული არტურ ლაისტი (ზოგადად, საქართველოში არაერთი უცხო ქვეყნის გამოჩენილი ადამიანი) და მეგობრად გერმანიას რატომ არ ვეკიდებით?

დარწმუნებული ვარ, იმდენი რამ, რაც საქართველომ უკრაინას გაუკეთა, ის და იმდენი რომ გერმანელი ხალხისთვის გაგვეკეთებინა, გერმანია ღრმად პატივისცემით მოგვეპყრობოდა, უკრაინასავით ზურგში მახვილის ჩაცემაზე არ იქნებოდა გამეცადინებული. ბოლო-ბოლო, საქართველოს პროკურატურის მიერ ძებნილ ქართველ კრიმინალებს გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში მაღალ საპასუხიმგებლო დანამდებობებზე არ დანიშნავდნენ, არც ბუნდესტაგში გააჭაჭანებდნენ, მოკიდებდნენ ხელს ქეჩოში და გადმოგვცემდნენ...

დაარქვით ყველაფერს თავისი კუთვნილი სახელი!

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, „ძმურ სახელმწიფო უკრაინას“ არაფერი მოუმოქმედებია საქართველოს მხარდასაჭერად, პირიქით, კომედიურ სკეტჩებში დაგვცინოდნენ და მთავარი აქტიორთაგანი სულაც ვოლოდიმირ ზელენსკი იყო. ახლა ქართველებმა რომ ასეთივე სახუმარო ნომერი გავაკეთოთ, ხომ დაგვამხობენ თავზე დედამიწას. კარი გავუღეთ უკრაინიდან ლტოლვილებს და საკუთარი ხალხისთვის რომ არ გარჯილა, ისე გაისარჯა მათთვის საქართველოს მთავრობა, მაგრამ მადლიერების ნაცვლად, ხან „ნაციონალების“ გამართულ აქციებზე გამობლაყუნდნენ და მრავალგზის კიდევ, უკრაინის მთავრობამ ლანძღა საქართველოს ხელისუფლება. გამოგვიპანღურეს ელჩიც და მიგვალანძღეს კიდეც არაერთხელ — ხან რა დაგვაბრალეს და ხან — რა.

ცალმხრივი მეგობრობის აბსურდულობამ პიკს მიაღწია გასულ კვირას. ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაზე დოკუმენტს, რომელიც საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას ევროკავშირში ინტეგრაციას ეხებოდა, იმ მოტივით, რომ საქართველო სანქციებს არ უწესებს რუსეთს — რეალურად კი, რადგან რუსეთთან ომში არ ჩავებით, რეზოლუციის ტექსტს ხელი არ მოაწერეს და ეს საკითხი ევრონესტზე აღარც განიხილება.

გეკითხებით, რანაირად არის უკრაინა საქართველოს მეგობარი?

საბჭოთა კავშირის დროს მარტო რესპუბლიკა საქართველოს კი არა, საქართველოს ცალკეულ ქალაქებს ჰყავდათ დამეგობრებული ქალაქები ევროპიდან და მისვლა-მოსვლა გვქონდა — არავის უკვირდა, არც თვალებში გვჩრიდა ვინმე მათ „სიდიადეს.“

8 გვ. →

არა ტერორიზმს!!!

დიმიტრი ლორთქიფანიძე, დამოუკიდებელი უფლებადამცველი: ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი დაგმობს მოსკოვში მომხდარ ტერაქტს. სოლიდარობას, თანადგომას ვუცხადებთ რუს ხალხს ამ უმძიმეს წუთებში, დაშავებულებს მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. ეს ჩვეულებრივი ტერორისტული აქტი არ არის, ის საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებისთანავე განახორციელეს. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ტაკერ კარლსონთან ჩაწერილ ინტერვიუს ორ კვირაში სამ მილიარდზე მეტი ნახვა ჰქონდა. ამას მალევე ნავალნის სიკვდილი მოჰყვა, რათა ამ ინტერვიუს გადაფარვა მომხდარიყო. წარმატებულ საპრეზიდენტო არჩევნებს კი ეს მძიმე ტერაქტი მოჰყვა. ეს „ისლამური სახელმწიფოს“ ჩვეული ხელწერა კი არა, აშკარად დაკვეთაა კონკრეტული მიზნის მისაღწევად. რუსეთი ყველა ღონეს იხმარს, რომ გამოძიება ჩატარდეს და ყველა დამნაშავე კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს — როგორც აღმსრულებლები, ისე ორგანიზატორები, ვინც ეს კოშმარული ტერორისტული აქტი დაგეგმა,.

რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ტერორისტულ აქტში უკრაინის კვალი იკვეთება. ასეთი განცხადებები შემთხვევით როდი კეთდება. აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ტერორისტები ბრიანსკის მიმართულებით გარბოდნენ და უკრაინის ტერიტორიაზე გადასვლას აპირებდნენ. პუტინმა გააკეთა განცხადება, რომ უკრაინული მხარე ტერორისტებს დერეფანს უხსნიდა იმისთვის, რომ ისინი თავის ტერიტორიაზე მიეღო. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ის ოფიციალურმა მხარემ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს, მათ მოსალოდნელ ტერაქტზე ინფორმაცია ჰქონდათ. თუმცა ფაქტია, 7 მარტს მათ ამის თაობაზე განცხადება გააკეთეს და საკუთარ მოქალაქეებს მასობრივი თავშეყრის ადგილებში მისვლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს.

კიდევ უფრო საინტერესოა ერთი გარემოება: ერთ-ერთი ტერორისტთაგანი „კროკუს სითი ჰოლში“ სწორედ 7 მარტს იმყოფებოდა. რა უნდოდა მას იქ 7 მარტს, ჰქონდა თუ არა მოქმედების გეგმა შემუშავებული და ადგილზე გადიოდა თუ არა შესაბამისი გადაადგილების მარშრუტებს, ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. რუსეთის პასუხი ამ სისხლიან ტერაქტზე უმძაფრესი იქნება.

← 7 გვ.

რატომ გახადეს და დაამკვიდრეს ეს მტრად მოკიდებული უკრაინა საქართველოს მეგობრად, ვერაფრით ვიგებ ამ აბსურდულობის მიზანშეწონილობას — საერთო საზღვარი მაინც გვქონდეს, გეოგრაფიულად აბსოლუტურად განსხვავებულ არეალში ვართ და დამატებით, ამხელა კავკასიონი ცალკე გვაცალკევებს... ერთის მხრივ, კიდევ კარგი, რომ უკრაინისგან შორს ვართ, თორემ სამეზობლოში რომ ყოფილიყო, ისეთი გაკაპასებულები იყვნენ ზელენსკის მეთაურობით, 2-3 „შემთხვევით“ გამოფრენილი ბომბი არ აგვცდებოდა...

მტრულად განწყობილი ქვეყანა რასაც ჰქვია, იმ ქვეყნის წარმომადგენელიც კი აკონტროლებს საკუთარ მეტყველებასა და მიმიკებს, კეთილისმსურველის ნიღაბს იკრავს და ამ უკრაინის რა ვალი გვაქვს ასეთი, ან რატომ მიაჩნიათ თავი საქართველოსა და ქართველებზე აღმატებულად, გასაოცართან ერთად შეურაცხმყოფელი და საწყენიც არის.

თავიანთი ელჩი გაიწვიეს საქართველოდან, აქაოდა, რუსეთს სანქციებს არ უწესებთ და მოხალისეებს არ აგზავნით უკრაინაშიო (ამ მიზეზით მსოფლიოს 2/3 ქვეყნებიდან უნდა გაეწვია ელჩები, მაგრამ მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში მოიქცა ასე);

უკრაინიდან ჩვენი ელჩი გამოაძევეს, რადგან, თურმე საქართველო უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილს აწამებს და კლავს (სანამ სააკაშვილის „ვივამედში“ კოტრიალს წამებას დაარქმევენ, „ემნესთი ინთერნეიშენელზის“ ბოლო ანგარიშებს გადახედონ, სადაც უკრაინის ციხეებში არსებული მდგომარეობა ზედმიწევნით არის აღწერილი და სულაც, რა დღეში არიან უკრაინის ციხეებში საქართველოს მოქალაქეები);

საქართველოდან მართლმსაჯულებას გაქცეული არაერთი პირი ჰყავთ დასაქმებული უკრაინის სახელისუფლებო სტრუქტურებში;

საქართველოს პროკურატურა ითხოვს არაერთ საქმეზე მსჯავრებული ადეიშვილისა და ლორთქიფანიძის გადმოცემას, მაგრამ ყურს არ იბერტყენ, პირიქით, მაქსიმალურად დააწინაურეს, ბოლოს ისიც იკადრეს, რომ ზურაბ ადეიშვილი უკრაინის ოფიციალურ დელეგაციაში შეიყვანეს, ბრიუსელსა და გერმანიაში ჭკუის

ერთია, რას იტყვის გამოძიება და მეორეა, როგორ მოიქცევა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა

ლევან ნიკოლეიშვილი, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ანალიტიკოსი:

მნიშვნელობა არა აქვს სად და რომელ ტერიტორიაზე მოხდება ტერორისტული აქტი, ფაქტი, თავისთავად, არის შემზარავი და დასაგმობი. შედეგად, მშვიდობიანი, უდანაშაულო ადამიანები იღუპებიან. შესაძლოა, ტერორისტული ორგანიზაციების მიზნები განსხვავებულია, მაგრამ მათი ხელწერა მაინც ერთია: აფეთქება, მკვლელობა, დაშინების მცდელობა... თუმცა, ამას როგორც წესი, გარკვეული პოლიტიკური სარჩული აქვს, - იმიჯი შეულახონ იმ ხელისუფლებას, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება ტერორისტული აქტი, ან გარკვეული პირობები წამოაყენონ. ამ შემთხვევაში ყოველგვარი პირობის გარეშე გაუხსნეს ცეცხლი მშვიდობიან მოსახლეობას..

„ისლამურმა სახელმწიფომ“, უკვე რამდენიმე წელია, თითქოსდა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ მისი გარკვეული წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყანაში გაიფანტნენ, რათა მოემზადონ, ახალი გეგმები შეიმუშავონ და ახალი ტერორისტული აქტები განახორციელონ. შეიძლება, ეს სულაც დასაწყისი იყო, რასაც გაგრძელება ექნება არა მაინცდამაინც იმ ქვეყანაში, სადაც დაიწყეს...

როგორც საინფორმაციო სააგენტოები აცხადებენ, ზოგი ტერორისტი უკვე ლიკვიდირებულია, ზოგიც დაპატიმრებული, მაგრამ ვნახოთ, გამოძიება რას დაადგენს, ამ ყველაფერს როგორ გამოიყენებს თვითონ რუსეთის ხელმძღვანელობა და ვლადიმირ პუტინი, რომელიც აცხადებს, რომ უკრაინის მხარე ტერორისტებისთვის საზღვრის გადასაკვეთად ფანჯარას ამზადებდა. რუსეთისთვის ხელ-ფეხი იხსნება იმ გაგებით, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა ქვეყანა ერთსულოვნად მისი მხარდამჭერია.

ჩვენ ვნახეთ, რომ ისრაელში მომხდარი ტერაქტის შედეგად, საერთოდაც, საომარი მოქმედებები დაიწყო ღაზას სექტორში. დღემდე ყველა სახელმწიფო, ლამის ევედრება ისრაელს, რომ ომი უფრო დიდ მასშტაბებში არ გადაიზარდოს, რათა მეტი მსხვერპლი და ზიანი არ გამოიწვიოს, მაგრამ ისრაელი ბოლომდე მიიყვანს საქმეს, ვიდრე უკანასკნელ ტერორისტს არ გაანადგურებს.

ერთია, რას იტყვის გამოძიება და მეორეა, როგორ მოიქცევა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელსაც საკმაოდ სერიოზული ამბიციები გააჩნია და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს.

რადგან საერთაშორისო ტერორიზმზე ვსაუბრობთ, ყველა ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია, რომ ტერორიზმის პრობლემა აღმოიფხვრას, ეცდება, მაქსიმალურად ითანამშრომლოს რუსეთთან, მაგრამ როგორ უნდა ითანამშრომლონ მასთან დაპირისპირებულმა მხარეებმა? უკრაინა იქნება ეს თუ სხვა ქვეყანა, ასეთ დროს ყველა სახელმწიფო მაქსიმალურად თავშეკავებული უნდა იყოს თავის განცხადებებში. მაგალითად, ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ტერორისტი ტაჯიკეთის მოქალაქე აღმოჩნდა, მაგრამ ტაჯიკეთის პრეზიდენტმა სასტიკად უარყო, რომ ისინი მათი მოქალაქეები არიან და რუსეთს მხარდაჭერა გამოუცხადა. უკრაინის პრეზიდენტმა არც ისე ადეკვატური განცხადებები გააკეთა ამ ყველაფერთან დაკავშირებით, რასაც, რა თქმა უნდა, რუსეთის პრეზიდენტიც შესაბამისი განცხადებებით უპასუხებს, - ერთია განცხადებები, მეორე მტკიცებულებები, მესამეა ფაქტების დადასტურება და შემდეგია პოლიტიკური ნება, რასაც ასეთ დროს კონკრეტული ქვეყანა თავისი სურვილისა და ინტერესების შესაბამისად გამოხატავს.

არა ტერორიზმს!!!

საკითხავ კაცად წარმოაჩინეს — მეტი ცინიზმი და თავზე გადავლა რაღა არის? ამ დროს კი საქართველოს ხელისუფლება კიდევ უკრაინის ძმობა-სოლიდარობას დაგვძახის.

ვერ გავიგე, უკრაინის ხელისუფლება მასხრად იგდებს საქართველოს ხელისუფლებას, ეს უკანასკნელი კი საკუთარ ხალხს?!

ომში მყოფი ქვეყანაა და რაღაცებზე თვალს ვხუჭავთო, — ასე არ გამოვა. ომში მყოფი ქვეყანა გაჭირვებულს ნიშნავს და გაჭირვებული ქვეყანა მეგობრების შემოკრებას ცდილობს და არა მეგობრების მოშორებას. ასე რომ, არ გთვლის უკრაინა მეგობრად და რატომ ვეტენებით? ვირისა და პიტნის არ იყოს, ვირს პიტნა ეჯავრებოდა და ნახე, რა კარგი სუნი აქვს, ცხვირში ტენიდნენო.

ევრონესტზე უკრაინის დელეგაციამ, როგორც მაკა ბოჭორიშვილმა თქვა, უკრაინამ თავდაპირველად, რეზოლუციაზე ხელმოსაწერად დასტური თქვა, მაგრამ საქმე ხელმოწერაზე რომ მიდგა, გადათქვეს, უარი განაცხადეს — ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ უპიროები და, შესაბამისად, არასანდონი არიან!

არასანდონი, სახელმწიფო დონეზე ჩვეულებრივი მატყუარები რომ იყვნენ, ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როდესაც თვითონ გამოუშვეს მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან და იცრუეს, დადასტურებულად გაცნობებთ, რომ მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღეა სასტუმროს ნომერშია ტრუსკავეცშიო. ეს ხომ მათ მიერ დადგმული ამბავი იყო, სპეცოპერაცია, რომ არაჟნის კონტეინერით შემოპარულ კიდევ ერთ უსამშობლოს რევოლუციის მსგავსი სისხლიანი შეტაკება მოეწყო.

ევრონესტზე მისაღებ რეზოლუციასთან დაკავშირებით, უკრაინის დელეგაციის ქმედებაზე ბატონმა პეტრე მამრაძემ განაცხადა, რომ დავით არახამია კურირებს საქართველოს საქმეებს, მას აქვს მონოპოლიზებული ეს მიმართულება...

დაარქვით ყველაფერს თავისი სახელი!

ასეთ ქცევები კურირება და მონოპოლიზება კი არ არის, საქართველოს ღიად მტრობაა და ფუჭია სიტყვების რახუნი, რომ არაფერი შეარყევს ამ ორი ხალხის ისტორიულ მეგობრობას.

საქართველოს წინააღმდეგ ამ

10 გ3. →

ზაალ ანჯაფარიძე, ანალიტიკოსი: მოსკოვის ტერაქტი არ ჰგავდა კლასიკურ ტერაქტს, რა დროსაც ტერორისტებს კონკრეტული მოთხოვნები აქვთ და მძევლები აჰყავთ. ჩემი აზრით, ამ ტერაქტს ჰქონდა რამდენიმე მიზანი. ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო პუტინის და მისი რეჟიმის კიდევ მეტი დისკრედიტაცია-დელეგიტიმაცია და პუტინის უსუსურობის გაშიშვლება უშუალოდ რუსეთის მოსახლეობის თვალში, რათა რუსულ საზოგადოებაში დუღილის პროცესი დაიწყოს.

მეორე საკითხი არის ის, რომ, ჩემი აზრით, ეს აქტი ემსახურება რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში უთანხმოების გაჩენას, რუსეთის შიდა პოლიტიკის და პოზიციების დაზიანებას. მისი ერთ-ერთი მიზანია, პოლიტიკურ ელიტაში დაიწყოს მსჯელობა ომის დასრულების თაობაზე: „ხომ ხედავთ, რა ხდება, რუსეთში ტერაქტს აწყობენ, ხომ არ დაგვესრულებინა ომი?“ ასეთ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, ვის აძლევს ხელს ეს ყველაფერი? „ისლამურ სახელმწიფოს“ რა ინტერესი უნდა ჰქონდეს იმისა, რომ რუსეთში სიტუაცია არიოს და რუსეთის ხელისუფლების პოზიციები შეასუსტოს, აქტიური ომი ხომ არ მიმდინარეობს სირიაში? მე ვფიქრობ, რომ ამის უკან დგანან ისინი, ვისაც უნდა, რომ უკრაინაში რუსეთი სტარტეგიულად დაამარცხონ. აძლევს თუ არა ხელს ეს ტერაქტი უკრაინას? – რა თქმა უნდა! აძლევს თუ არა ხელს ეს ტერაქტი კოლექტიურ დასავლეთს? – რა თქმა უნდა! როდესაც ასეთი სტრატეგიული მიზნები გაქვს დასახული, იქ უკვე მეთოდების შერჩევაზე და „თეთრი ხელთათმანებით“ მოქმედებაზე საუბარი აღარ არის. რუსეთს აქვს ეჭვი უკრაინაზე, მაგრამ დასავლეთმა, თავისი განცხადებებითა და სტატიებით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ როგორმე უკრაინისთვის ხელი დაეფარებინა და ისე წარმოაჩინა, რომ უკრაინა არაფერ შუაშია. ცხადია, კვალი იკვეთება. თუმცა, შესაძლოა, თვითონ რუსეთია დაინტერესებული იმით, რომ უკრაინის როლი გამოკვეთოს, რათა შემდეგ ეს თავისი პოლიტიკური თუ სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენოს.

სოსო მანჯავიძე, ისტორიკოსი, ანალიტიკოსი: ტერაქტის ვერსიები ბევრია, მაგრამ დარწმუნებით საუბარი არცერთზე არ შეიძლება. მოდით, გავაანალიზოთ, ვის შეიძლება ეს აწყობდეს.

პირველი ვერსიით, ეს რუსეთის ხელისუფლებამ გააკეთა, რათა შიდა მობილიზაცია მოეხდინა და საგარეო ნაბიჯები განეხორციელებინა. ეს ვერსია ნაკლებ სავარაუდოა, ვინაიდან ისედაც ბევრი რამ ხდება. მაგალითად, უკრაინის ფრონტზე წითელი ხაზები ისედაც გადაკვეთილია და რუსეთის ხელისუფლებას ასეთი ნაბიჯის გადადგმა არაფერში სჭირდება. მით უმეტეს, რომ პუტინის არჩევნები მისთვის სასურველი სცენარით განვითარდა.

მეორე ვერსიით, ტერაქტი უკრაინას ბრალდება. რაში შეიძლება მას ეს აწყობდეს? ამ ტერაქტმა რუსეთში შიდა მობილიზაცია გააძლიერა.

ევროპელების რეაქციაც გასაგებია. თვითონ ინგლისმაც კი, რომელიც რუსეთის მიმართ ყველაზე შეურიგებელია, ეს ტერაქტი დაგმო. იგივე ითქმის აშშ-ზეც. ის ვერსია, რომ ეს „ისლამურმა სახელმწიფომ“ გააკეთა, ასევე, ნაკლებ დამაჯერებელია. ვინაიდან მისი ტერაქტების ხელწერა აბსოლუტურად სხვაგვარია. იქ აუცილებლი ატრიბუტია დროშა და არავითარ შემთხვევში საუბარი არ უნდა იყოს იმაზე, რომ ეს ფულის გამო გაკეთდა.

მოგეხსენებათ, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტები ტერაქტებს იდეის გამო ახორციელებენ. გარდა ამისა, ტერორისტული ორგანიზაციების უკან ყოველთვის დგას ის ძალები, რომლებიც ამას აფინანსებენ. როგორც წესი, სპეცსამსახურები. ანუ, გვრჩება გარკვეული საერთაშორისო ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომლებმაც მიიჩნიეს, რომ რუსეთის ფედერაცია დასასჯელია, რადგან მათთვის სასურველ სცენარს არ მიჰყვება. ეს დემონსტრაციული დასჯაა.

ფაქტობრივად, რა მივიღეთ? თავისი მასშტაბით კატასტროფული ტერაქტი. რუსეთის ხელისუფლებას კი ხელთ ოთხი სრულიად არაადეკვატური ტაჯიკი შერჩა, რომელთაც არაფერი იციან. ასეთია დღევანდელი სურათი.

უდანაშაულო ხალხი იღუპება და ეს გარკვეული ძალების ინტერესებშია

თამარ კიკნაძე, პოლიტოლოგი, საეთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი: ტერაქტები დღევანდელი ტექნიკური საშუალებების პირობებში, ყოველთვის გარკვეული ძალების მიერ არის მართული. ტერაქტი საკუთარ თავზე ვითომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. ეს „ისლამური სახელმწიფოც“ რომ მართულია, ეს ცხადია. რუსები პირდაპირ უკრაინელებს ადებენ ხელს. რამდენიმე ვერსია იკვეთება: „ისლამური სახელმწიფო“, უკრაინა, დიდია ინგლისის როლიც. დამალული არავისთვის არის, რომ უკრაინა პროქსი-ქვეყანაა. თანაც ამერიკელები თუ ფლობენ რაღაც ინფორმაციას, საკუთარ მოქალაქეებს ყოველთვის აფრთხილებენ.

ვერსიები არსებობს, მაგრამ ფაქტი ერთია — ეს ყველაფერი რუსეთის წინააღმდეგ არის მიმართული იმ არჩევნების ფონზე, რომელმაც ახლახან ჩაიარა.

დააკვირდით, ტერაქტი არჩევნების შედეგებსა და პრეზიდენტის ინაუგურაციას შორის მოხდა. როცა ასეთ რამეს აკეთებ, უნდა იცოდე რუსების ფსიქოლოგია და მენტალიტეტი.

მსგავსი შემთხვევები, პირიქით, მათ კონსოლიდირებულს ხდის. ბუნებრივია, ასეთი ტერაქტები დასაგმობია. ტერაქტების ბოლომდე განეიტრალება ვერ ხდება. ქვეყნის მთლიანად დაცვა, ტერორისტული აქტებისგან, შეუძლებელია. სამწუხარო ის არის, რომ უდანაშაულო ხალხი იღუპება და ეს გარკვეული ძალების ინტერესებშია. აღმაშფოთებელია, რასაც მავანი „ფეისბუქზე“ წერს. საზოგადოების განწყობები მაგიჟებს. ხელისუფლება აბსოლუტურად სწორად მოიქცა, როცა რუსი ხალხის მიმართ თანაგრძნობა გამოხატა და მიუსამძიმრა. ყველა ცივილიზებული ტერორიზმის ასეთი გამოვლინების წინააღმდეგ ილაშქრებს.

არა ტერორიზმს!!!



გოგა ხაინდრავა, კინორეჟისორი: რთულია იმის თქმა, სად მიდის ტერაქტის კვალი, თუმცა, ერთი აშკარაა, ამაზე კარგად მომზადებული ჯგუფი მუშაობდა. კადრები, რაც ვიხილეთ შემზარავია. ჩემი აზრით, ტერაქტში სხვადასხვა ჯგუფები მონაწილეობდნენ, რადგან ოთხი კაცი ამ მასშტაბის უბედურებას ვერ დაატრიალებდა.

ეს ჯოჯოხეთი ეშმაკების მოწყობილია და რა წარმომავლობის არიან ისინი, ამას მალე ნათელი მოეფინება. აშშ-ის მიერ გაკეთებული განცხადებები კითხვის ნიშნებს ბადებს. კერძოდ, ჯერ ტერაქტი დასრულებული არ იყო, როცა თეთრ სახლში უკვე აცხადებდნენ, ეს უკრაინის გაკეთებული არ არისო. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, აშშ-ს ძალიან უნდა, რომ ისრები უკრაინისკენ წავიდეს. რა იცის კამალა ჰარისმა, ჩართულია თუ არა უკრაინა ამ ტერაქტის განხორციელებაში?!

ასევე კითხვის ნიშნებს აჩენს ისიც, რომ აშშ-მ საკუთარი მოსახლეობა მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ წინასწარ გააფრთხილა. ამის შესახებ თუ იცოდნენ, რატომ არ შედგა კომუნიკაცია რუსულ მხარესთან?!

ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ უდანაშაულოდ დახოცილი ადამიანების ოჯახებს და ქვეყანას მივუსამძიმროთ.

ალი ბაბაევი, საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე:

ტერაქტი არის უდიდესი ტრაგედია, რასაც გამართლება არ აქვს. ტრაგედიაა, როდესაც ქვეყნებს შორის ომი მიმდინარეობს და ადამიანები იხოცებიან, მაგრამ ტერაქტი არის უკიდურესად დასაგმობი ფაქტი, რასაც სრულიად უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან. უბედურება ის არის, რომ დანაშაული მოხდა და ამდენი ადამიანი დაიხოცა, თორემ გამოძიება, ალბათ, იტყვის თავის სიტყვას და გავიგებთ, რა მოხდა რუსეთის დედაქალაქში, რა დანიშნულება ჰქონდათ ამ ტერორისტებს? რატომ მოხდა ეს საზარელი აქტი აზერბაიჯანელი მილიარდერის კუთვნილ ცენტრში?.. ეს ყველაფერი გამოსაძიებელია.

არსებობს სხვადასხვა ვერსია. მაგალითად, უკრაინამ დაადანაშაულა რუსეთს, ვითომ მან თვითონ ჩაიდინა ეს ყველაფერი, მაგრამ არ მგონია, რომ თავისი ამდენი მოქალაქე დაეხოცა რუსეთის ხელისუფლებას. თავის მხრივ, რუსეთსაც აქვს ეჭვი უკრაინაზე, რადგან რუსეთი ომს უკრაინის ტერიტორიაზე წარმატებით აგრძელებს.

რადგან ტერორიზმს ეროვნება არა აქვს, მე ვფიქრობ, რომ უნდა თანავუგრძნოთ და სამძიმარი გამოვუცხადოთ დახოცილი უდანაშაულო ადამიანების ოჯახის წევრებს. დაე, აღარასდროს განმეორდეს ასეთი შეუწყნარებელი სისასტიკე დედამიწაზე.

← 11 გვ.

უსამშობლო არახამიას გამოხტომები, სადაც ის საქართველოს ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის ტყვეობიდან გათავისუფლებას, რუსეთთან პირდაპირი ფრენების შეწყვეტას და რუსეთისთვის დაწესებული სანქციებისთვის თავის არიდების შეწყვეტას ითხოვს, ისეთივე ფუჭი და გალაყებულია, როგორც თავად ეს მედროვე ბოგანოა. არავინ ეკითხება

რომელიმე ქვეყნის ჩინოვნიკს, რას მოიმოქმედებს საკუთარი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ რომელიმე სახელმწიფოს ხელისუფლება!

თითქოს არ იცოდეს ამ არარაობა არახამიამ, რომ საქართველო კი არა, მთელი ე. წ. დასავლეთის „შავი ხვრელით" რუსეთთან ვაჭრობით მილიონობით გაამდიდრეს რუსეთის ბიუჯეტი; ახლახან კი დატუქსეს კიდეც, რუსეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებს აღარ დაარტყათო — თუ თვითონ არ ხეირობენ რუსული ნავთობპროდუქტებით, ნეტავ, რატომ დატუქსეს?

იმის გამო, რომ უკრაინის არახამიასნაირი უსამშობლო არარაობების ხელში ჩაგდებას დაუჭირა მხარი უკრაინელმა ხალხმა და ზედდართული ქართველი უსამშობლო კრიმინალების უკრაინის ხელისუფლებაში ბოგინზე მძაფრი რეაქცია არ ჰქონდათ, დღეს იმკიან შედეგებს, მაგრამ გვიანია თითზე კბენა. იმის ნაცვლად, რომ „კოლექტიური უკრაინის" (ფაქტობრივად, მთელი ნატო ებრძვის ერთ რუსეთს) გამარჯვებას ვხედავდეთ, ომის შეჩერების ვარიანტზე საუბარი გვესმის — ისეთი ჩიხური სიტუაცია შექმნეს, თავადვე ვეღარ იგნებენ გზას. უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნების არა მხოლოდ ხალხს, უკვე მთავრობებსაც მოსწყინდათ უძირო ორმოდ ქცეულ უკრაინაში ფულის ყრა და საკუთარი ხალხის პროტესტის შეკავება.

„ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო 2014 წლიდან აშენებდა ჯაშუშთა ბაზებს რუსეთ-უკრაინის საზღვრის გასწვრივ. იგივე რომ რუსეთს ან ჩინეთს გაეკეთებინა ამერიკა-მექსიკის საზღვარზე, საინტერესოა, ჩვენ როგორ ვუპასუხებდით? მათ მიერ მოგროვილი ინფორმაციის საფუძველზე აცხადებენ, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის მიმდინარე კონფლიქტის (კონფლიქტიო!) თავიდან არიდება შეუძლებელი იყო, მაგრამ რეალურად, სიაიემ-მა სიტუაცია ხელოვნურად დაძაბა, — რიტორიკულად იკითხა რობერტ ფრენსის კენედიმ და საკუთარი დასკვნაც დაადო.

წლევანდელი წელი არჩევნების წელია და რას შესთავაზებენ ე. წ. დასავლეთში საკუთარ ამომრჩევლებს კანდიდატები, ძალზე საინტერესოა. ორი წლის წინათ თუ კოლექტიურად უტევდნენ საქართველოს, უკრაინის ომში ჩაებით, „მეორე ფრონტი" გაუხსენით რუსეთსო, დღეს თვითონ აქვთ გახსნილი „მეორე ფრონტი" ისრაელი-ღაზას სექტორის კონფლიქტით და უკრაინის ომიდან მაინც უნდათ რამენაირად გამოძვრომა, მაგრამ საკუთარ აბლაბუდაში ისე გაებნენ, გზას ვეღარ იგნებენ.

უკუნეთია მათ თავს...

„მე რომ მესროლე, იმიტომ კი არ ხარ მოსაკლავი, ფულის გულისთვის კაცის მოკვლა რომ შეგიძლია, მისთვის!" — ეუბნება დათა თუთაშხია ჯონჯოლიას და მოსწონთ პერსონაჟ დათა თუთაშხიას სიტყვები, თუმცა, ამავდროულად, თანამედროვე გმირებად რაცხავენ ფულის გულისთვის უცხო ქვეყნის ინტერესებისთვის მკვლელებს. „ნაიომნიკი" რანაირად შეიძლება იყოს გმირი... ამ ლოგიკით, გმირები არიან ის ტაჯიკებიც, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად რუსები დახოცეს საკონცერტო დარბაზში...

თუმცა რა, აგერ ახლახან, ცივილიზებულ დასავლეთში ოვაციებით ფეხზე არ წამოუდგნენ ესეს-ის მხცოვან ოფიცერს, იაროსლავ ხუნკას, რომელიც მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს (იმ დროს ხომ ყველა საბჭოთაკავშირელი რუსი იყო) ხოცავდა?!

უკუნეთია...

მაია ჭელიძე

ტერორიზმი არის სენი, რომელიც უნდა დაგმო!

გაბი კამაევი, მოქალაქე: მოკლედ მინდა შევეხო იმ სამარცხვინო კამპანიას, რაც ხდებოდა მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ სამძიმრის წერილზე, რითაც საქართველოს მთავრობამ დაგმო ეს საზარელი ტერორისტული აქტი. ისეთი ისტერია, ღლიცინი და მხიარულება ატეხეს ჩვენმა ფსევდოლიბერალებმა, თითქოს ტერორიზმი არჩევს ეროვნებებს, ახალგაზრდებს თუ ხანდაზმულებს, წარმომავლობას თუ წარმოშობას... მსოფლიოს აქვს საერთო ჩამოყალიბებული აზრი, რომ ტერორიზმი არის სენი, რომელიც უნდა დაგმო და სწორედ ამ დაგმობის გამო „გადაუარეს" ხელისუფლებას - როგორ თუ გაბედეს მათ და რუს ხალხს მიუსამძიმრეს!

მინდა, ფსევდოლიბერალებს ერთი ფაქტი შევახსენო, - სომხეთი და თურქეთი უკიდურესად მტრობენ ერთმანეთს. სომხეთი თურქეთს ოფიციალურად გენოციდში სდებს ბრალს, მაგრამ როდესაც თურქეთში მიწისძვრა მოხდა და უამრავი ადამიანი დაიღუპა, სომხებმა ყოველგვარი მტრობა გვერდზე გადადეს და თურქეთში სამაშველო ჯგუფები გაგზავნეს. ჩვენმა ფსევდოლიბერალებმა კი ისტერია ატეხეს იმაზე, რაც აუცილებლად დასაგმობია!

„ლიბერალებო", თუ არ მოგწონთ ის, რასაც რუსეთი აკეთებს, ეს უბედურება როგორღა გახარებთ? სად გადის თქვენი ლოგიკა? ასე როგორ დაგაკარგვინათ სახე სიძულვილმა, რომ აღტაცებას ვერ მალავთ უდანაშაულოდ დახოცილი უამრავი ადამიანის გამო?! - შეხედეთ თქვენ თავს გვერდიდან, რას დაემსგავსეთ!

საქართველოს უშიშროების სამსახურის ძალიან ეფექტიანი მუშაობა რომ არა, წარმოდგენაც არ შეიძლება, რამდენიმე თვის წინ, ისეთ უბედურებაში გავეხვეოდით. ხომ გახსოვთ, საქართველოში რომ ასაფეთქებელი მოწყობილობები შემოიტანეს, რაშიც უკრაინა იყო ჩართული... საკუთარ თავზე უნდა წარმოიდგინო ეს ყველაფერი - როგორია, რომ ამით ვიღაც ხარობდეს?! ეს ხომ არანორმალური ვითარებაა.

საქმე ისაა, რომ მათ დირექტივები ჩაუგდეს თავიანთი პარტიებიდან, რომ დაეცინათ და გაეხარათ ამ უბედურებით, მაგრამ ყველაფრის შესრულება ხომ არ შეიძლება?! შემდეგ კიდევ ამ „ულტრამორალისტებმა" დაიწყეს შეგონებები, რომ თურმე, რომელიღაც ტერორისტს ყური მოაჭრეს და ასე არ შეიძლება?! - თქვენ ის კადრები ნახეთ, რას აკეთებდნენ შიგნით ეს ტერორისტები? და ამას უბრალოდ კი არ აკეთებდნენ, იღებდნენ კიდევაც. კადრებიც იქიდან გავრცელდა, რომ ერთ-ერთი დაჭერილი ტერორისტის ტელეფონიდან არის ამოღებული. როგორ შეიძლება, რომ ეს საღ გონებაზე მყოფ ადამიანს გახარებდეს? მტერსაც კი თანაუგრძნობენ ჩვენს ქვეყანაში, ასე იყო ტრადიციულად და ასეა დღესაც, თქვენ კი რა დაგემართათ?! ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ამით საქართველოს ძალიან ცუდ საქმეს უკეთებთ? ეს თქვენი აღფრთოვანებისა და ჟრიამულის გამომხატველი კომენტარები რომ ვინმემ ჩვენს აფხაზსა და ოს ძმებს აჩვენოს და უთხრას, რომ, აი, ამათ უნდათ მათთან მშვიდობიანი თანაცხოვრება, ამით ჩვენს ქვეყანას რამხელა საქმეს უფუჭებთ, დაფიქრებულხართ ამაზე? ნამდვილად არ მეგონა, თუ ამდენი ადამიანი არსებობდა, ვისაც ასეთი ტრაგედიები ახარებდა.

საქართველოს ინტერესებს თავად ქართველი ერი დაიცავს

გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, ევრონესტის ასამბლეაზე ოპოზიციამ საქართველოს ევროპულ კურს მხარი არ დაუჭირა. რა ახსნა აქვს ამას?

— როცა საქმე სახელმწიფოებრივ ინტერესს ეხება, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთიანი უნდა იყოს. გამოიკვეთა, რომ ჩვენი ოპოზიციისთვის ქვეყნის ევროინტეგრაცია სახელმწიფოებრივ ინტერესს არ წარმოადგენს. ეს მათი პოლიტიკაა — ევროპულ გზას ფასადურად უჭერენ მხარს. საქმე საქმეზე რომ მიდგა, რა გააკეთეს? — ღიად დააფიქსირეს, რომ სამშობლო და მისი ინტერესები არაფრად ანაღვლებთ. ოპოზიციის მიზანი ხელისუფლების ხელში ჩაგდებაა. ამიტომ უკან დაბრუნების სანაცვლოდ, თუ დასჭირდებათ, ხელს კრემლთანაც მოაწერენ. მათი ზრახვები ნათელია. სიყალბეა, როცა გაჰყვირიან, პირველი ევროპელები ჩვენ ვართო. რეალურად, ქვეყნის ნგრევისკენ არიან მომართულნი.

— ანუ, რადიკალების საბოტაჟის გეგმა ისევ ძალაშია?

— ეს წამგებიანი პოლიტიკური ჩანაფიქრია. საბოტაჟს, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ქართველი ხალხი არ დაუშვებს. 90-იან წლებში უკვე დავუშვით შეცდომა — თუ გამსახურდიას ეროვნული მთავრობის გაშვება გვინდოდა, ეს არჩევნების გზით უნდა მომხდარიყო და არა იარაღით, სისხლისღვრით, სამოქალაქო დაპირისპირებით. ერთი და იგივე მდინარეში ორჯერ არ უნდა შეხვიდე. ისეთი ერები, რომლებიც ერთსა და იმავე შეცდომას იმეორებენ, ნადგურდებიან. საზოგადოებას აღარ უნდა სისხლის ტბორები და არც 2008 წლის ომის გამეორება, რისკენაც მავანი გვიბიძგებს.

ოპოზიციამ ევრონესტის ასამბლეაზე ისიც განაცხადა, რეზოლუციას ხელს არ ვაწერთ, რადგან ოკუპირებული ტერიტორიებიდან რუსული ჯარის გაყვანა ახლა აქტუალური არ არისო. წარმოგიდგენიათ, პოლიტიკურად რამდენად უსუსურები არიან და როგორი დამახინჯებული აზროვნება აქვთ. რატომ მივისწრაფვით ევროკავშირისკენ, ნატო-სკენ? — იმიტომ, რომ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ. კი ბატონო, მორღვეული ტერიტორიების აღდგენის ბედი რეზოლუციებით არასდროს გადაწყვეტილა, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს საკითხი აქტუალური არ არის, ან შეგნებული მავნებლობაა, ან სიბეცე. არადა, ჩვენთვის უპირველესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის გამთლიანებაა. ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: სანამ მიწები დაკარგული გვაქვს, ჩვენ სრულყოფილი სახელმწიფო არ ვართ. დიახ, ჩვენ ხეიბარი სახელმწიფო ვართ და არა ჯანმრთელი. სახელმწიფო ეტლში ზის. ოპოზიცია კი იმის ნაცვლად, რომ მასზე იზრუნოს, ის ფეხზე წამოაყენოს და მის ადაპტაციას ხელი შეუწყოს, საპირისპიროდ იქცევა. ნაცებს და მის სატელიტებს ურჩევნიათ, ქართული სახელმწიფო ეტლში იჯდეს. ოღონდ თვითონ ხელისუფლებაში მოვიდნენ და ყველაფერს კადრულობენ. ქართველი ხალხი ასეთ პოზიციას მხარს არასდროს დაუჭერს.

აქვე, ასამბლეაზე უკრაინელი დეპუტატის მიერ გაკეთებულ განცხადებასაც მინდა გამოვეხმაურო. 2008 წლის ომის დროს უკრაინის პრეზიდენტი იყო ჩამოსული, ვითომ ომს გადაგვარჩინა და მას მერე ვალიდან ვერ ამოვედით. მაშინ მიშამ აქ გამარჯვების იმიტაცია იზეიმა. ვინმეს ჰგონია, რომ რუსეთს მაშინ თბილისი ან ახლა კიევი აინტერესებს?! 21-ე საუკუნეა და თუ კონკრეტულ ქვეყანაში საყრდენი არ გაქვს, იქ შესვლას და მის დაპყრობას აზრი არ აქვს. რუსეთი იქ შევიდა, სადაც მანიპულირება შეძლო — აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. 2008 წელს, ნაცების მმართველობისას კიდეც მიითვისა ტერიტორიები. უკრაინა, დასავლეთი ცდილობს, ომში ჩაგვითრიოს და აქ სისხლი დაიღვაროს. რუსეთ-უკრაინის ომში ქართველი ბიჭებიც იბრძვიან. გმირულ სულისკვეთებას მივესალმები, მაგრამ უკრაინელი დეპუტატის განცხადების შემდეგ, ჩვენი გმირი ბიჭები უკრაინისთვის თავგასაწირად, მენანება. ამ დეპუტატმა ბრძანა, თითქოს, რუსეთის მიმართ ლოიალურები ვართ, რაც სიცრუეა. ყველა სახელმწიფოებრივ რეზოლუციას, რაც კი რუსეთის წინააღმდეგ შეიქმნა, საქართველომ მხარი დაუჭირა. გვიკიჟინებენ, რუსეთს სანქციები დაუწესეთო. ეს როგორ უნდა გავაკეთოთ, როცა გაზი რუსეთიდან შემოდის. გარდა ამისა, ძირითადი სტრატეგიული ობიექტები მათ ხელშია, რაც ნაცებმა გადასცეს. ასევე, რუსეთში ცხოვრობს მილიონამდე ქართველი, რომელიც აქ ოჯახებს არჩენს და ამ ფონზე რომელ სანქციებზე ვსაუბრობთ?! საკუთარ თავს დავუწესოთ სანქციები? უკრაინელებს უნდათ, იმ ლაფში ჩაგვითრიონ, რაშიც თვითონ აღმოჩნდნენ გარე ძალების წყალობით. ჩვენი ვაიოპოზიციის წახალისება სწორედ ასეთი დეპუტატებისგან ხდება. საქართველოს ინტერესებს თავად ქართველი ერი დაიცავს. შეცდომის უფლება აღარ გვაქვს.

— გასულ კვირას „ხალხის ძალა“ პარტიად ჩამოყალიბდა. ეს რას შეცვლის პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?

— „ხალხის ძალა“ მართალი ადამიანებისგან დაკომპლექტებული პარტიაა. მაგალითად, მე, „ქართული ოცნების“ ამომრჩეველი იმიტომ კი არ ვარ, რომ მისგან რაიმე დივიდენდებს ველი, არამედ 2012 წელს მასთან და ქართველ ხალხთან ერთად პასუხისმგებლობა ავიღე და ამას ღვთისა და სამშობლოს წინაშე დავიცავ. „ხალხის ძალას“ წარმატებებს ვუსურვებ. მან ბევრ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას ფარდა ახადა და, ალბათ, ასეც გააგრძელებს.

— „ხალხის ძალა“ 2008 წლის ომის გამოძიებას ითხოვს.

— ვეთანხმები, გამოძიება აუცილებელია, რათა ყველა მოღალატე გამომჟღავნდეს. ბევრი ფაქტი გახმაურდა, თუ როგორ პომპეზურ შეხვედრებს უწყობდნენ რუს გენერლებს იმდროინდელი გუბერნატორები, ქალაქის მერები. ასევე, როგორ ერეოდნენ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების ჩინოსნები სამხედრო საკითხებში, რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას როგორც ტერიტორიების, ისე ცოცხალი ძალის დაკარგვის თვალსაზრისით. ერთი რამ მიკვირს: თავად ხელისუფლება რატომ არ აყენებს ამ საკითხს. ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში მხილებული დამნაშავეები, უნდა დაისაჯონ.

— სოზარ სუბარმა აღნიშნა: კართაგენი უნდა დაინგრეს და ნაცები გასამართლდნენო. ეს რამდენად არის დღეს საზოგადოების დაკვეთა?

— ხელისუფლება თავადაც აღიარებს, რომ სააკაშვილმა დამნაშავე რეჟიმი შექმნა. მესმის, რომ ყველას ციხეში ვერ გამოკეტავდნენ, ბევრი დაისაჯა კიდეც, მაგრამ ჩემი აზრით, „ნაცმოძრაობა“ თავიდანვე უნდა გასამართლებულიყო და გამოძიებაც დაწყებულიყო. ახლა უკვე თორმეტი წელი გავიდა და ამ საკითხის დაძვრა, ალბათ, გაჭირდება. თანაც გვეუბნებიან, ნაცების გასამართლება ევროინტეგრაციის პროცესს დააზიანებსო. ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს ყველა თავის სასარგებლოდ იყენებს. რა თქმა უნდა, ევროინტეგრაცია ამ კრიმინალების გასამართლებასთან კავშირში არ არის, თუმცა, ვიმეორებ, ეს თავის დროზე — 2012 წელს უნდა მომხდარიყო.

საარჩევნო წელია და მინდა, ორი სიტყვით პოლიტიკურ გაერთიანებებზეც მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება. „ნაცმოძრაობის“ გარდა, 5%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი თითქმის არცერთს არ აქვს. ხმების რაღაც ნაწილს, ალბათ, მელიაც აიღებს. მივესალმებოდი, თუ ახალ პარლამენტში გარკვეული კვოტით ისეთი ძალებიც შევლენ, რომლებიც ტრადიციულ ღირებულებებთან, ქვეყნის ინტერესებთან ასოცირდებიან.

— ვის მოიაზრებთ ამ ძალებში?

— ვგულისხმობ კონსერვატიულ ძალებს, რომლებიც ნაცების ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს დაუპირისპირდებიან. მნიშვნელოვანია, რომ ეს ძალები საუბრობენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაზე, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე, რაც სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დასაბრუნებლად მნიშვნელოვანი ფაქტორია. „ქართული ოცნების“ ამოცანაც ხომ ეს არის. მისი ერთ-ერთი დაპირება სწორედ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, რისთვისაც დღეს პოლიტიკური ვითარება მომწიფებულია. „ქართული ოცნების“ ლიდერებიც ამ მიმართულებით სწორ აქცენტებს აკეთებენ. ხელისუფლება ღიად ამბობს, რომ ქართველი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგია საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს. მივესალმები ხელისუფლების ინიციატივას ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის წინააღმდეგ კანონის ინიცირებაში. „ქართული ოცნება“ ის ძალაა, რომელიც არც სახელმწიფოებრივ და არც ეროვნულ ინტერესებს არ დააზიანებს.

— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას მოიპოვებს?

— დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ამ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და საკონსტიტუციო უმრავლესობასაც მოიპოვებს. ღარიბაშვილის მთავრობამ ძალიან ეფექტურად იმუშავა. ირაკლი ღარიბაშვილს უკან არაფერზე დაუხევია, მან ევროკავშირის წარმომადგენლებს მიუთითა, რომ კანდიდატის სტატუსის გარეშე საქართველოს დატოვება დიდი უსამართლობა იქნებოდა. მან მყარად დაიცვა ქართველი ხალხის პოზიცია. საერთაშორისო ტრიბუნებიდან ღარიბაშვილის მჭექარე განცხადებებმა განაპირობა სწორედ ის, რომ კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭეს. სხვა საკითხია, რა სარგებელს მოგვიტანს სტატუსი, მაგრამ ეს ქვეყნის იმიჯისთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ამ ფაქტორმა, გარკვეულწილად, კიდევ უფრო გაზარდა ხელისუფლების მხარდამჭერთა არმია, რაც უდავოდ აისახება 2024 წლის არჩევნებზე.

თამარ შველიძე

ქართველმა ხალხმა სოდომური იდეოლოგიის დამნერგავი ენჯეოები თავის ნებაზე არ უნდა მიუშვას

გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე ბაღათერ არაბული:

— ბატონო ბაღათერ, ხელისუფლება ითხოვს, ევროკავშირის ელჩი დაინტერესდეს, ვინ ფინანსდება ევროპული, ამერიკული ფონდებისგან და რას ხმარდება ეს თანხები...

— საკითხი საკმაოდ პრობლემურია. სხვადასხვა ამერიკული თუ ევროპული ფონდები არასამთავრობო ორგანიზაციებს აფინანსებენ, რომლებზეც პოლიტიკური პარტიებია მიბმული. ხელისუფლებას აბსოლუტურად ვეთანხმები — ქართულ პოლიტიკაში უცხოური ფული უნდა აიკრძალოს. თავად ეს ენჯეოები პირდაპირ უცხოურ ლობისტურ კომპანიებზეა მიბმული, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ და ქართულ პოლიტიკაში ფარულად ერთვებიან, რათა ქვეყანაში ქაოსი გამოიწვიონ. მიხარია, რომ „ქართული ოცნება“ ამ ფაქტებზე მწვავედ რეაგირებს. თუმცა, მინდა ხელისუფლებას ვუთხრა, რომ დონორებისა და აქაური ენჯეოების მიმართ ზომები გაამკაცროს. ხელისუფლებამ ტელევიზიით კი არ უნდა გვამცნოს, რომ ეს ძალები ქვეყნის გადატრიალებას გეგმავენ, არამედ რეაგირება მოახდინონ. სუს-ი იმიტომ არსებობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები დაკითხოს და გაარკვიოს, რაში იხარჯება აღნიშნული თანხები. ეს ფული საქართველოში ევროების, დოლარების სახით შემოდის. საქართველოში ლარის ინფლაცია რომ ხდება, უცხოელებს უხარიათ, რადგან დოლარის, ევროს ფასი მაღლა იწევს. გარე ძალების მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ეს არის აგენტურა, რომელიც დავალებას სხვა ქვეყნიდან საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იღებს და კიდეც ასრულებს.

საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულებაში, დაახლოებით, ორმოცი ათასამდე ადამიანია ჩართული. ხელისუფლება კი ვერაფერს აკეთებს. გახსოვთ, რა მოჰყვა 7-8 მარტს უცხოელი აგენტების წინააღმდეგ კანონის მიღებას. გამოცვივდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და ქვეყანა კინაღამ თავზე დაგვამხეს — პოლიციელები ლამის მოლოტოვის კოქტეილებით დაწვეს. სახელმწიფო გადატრიალებას ბეწვზე გადავრჩით. ხელისუფლებამ ვერაფერი მოიმოქმედა, რადგან დასავლეთმა დამნაშავეების დაპატიმრება აგვიკრძალა. ძალოვანმა სტრუქტურებმა შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინონამ ძალების წინააღმდეგ. პარლამენტის თავმჯდომარემ ღიად მოითხოვა, უცხოურმა დონორებმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსება შეწყვიტონ. როგორც მან აღნიშნა, „ამერიკის დემოკრატიის ფონდი“ თანხებს არ ასაჯაროებს. მერე აღმოჩნდება, რომ ამერიკელი გადამხდელების თანხა პოლიტიკური პარტიებისკენ მიედინება, რათა წინასაარჩევნოდ დეზინფორმაციული კამპანია აწარმოონ. ეს უნდა აღიკვეთოს!

„იუესაიდი“, „გაერის ფონდი“, „ჰერა-21“ და სხვა ფონდები აქ სხვადასხვა ღონისძიებებს აფინანსებენ, რათა ქვეყნის სახელმწიფოებრიობა ჩამოშალონ. მაგალითად, გაერომ დააფინანსა სემინარი, რომელიც უმცირესობების უფლებების დაცვას ეხებოდა. „თბილისი პრაიდმა“ კი ჩაატარა სემინარი ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების თემაზე. ნიდერლანდების საელჩოს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ასევე, ევროსაბჭოს ვებგვერდებზე ასახულია, თუ რაში იხარჯება გრანტები. რად უნდა ამას კანონის მიღება?! დაიბარონ ის უცხოური ორგანიზაციები, რომლებიც თანხებს არ ასაჯაროებენ და პასუხი მოსთხოვონ. როცა მალავ, რაში იხარჯება თანხა, ეს ნიშნავს, რომ ფული მტრული ქმედებისთვის არის განკუთვნილი. ასეთ ფონდებს საქართველოში მუშაობა უნდა აეკრძალოთ.

სწორედ ასე მოიქცა თურქეთი. ერდოღანმა ასამდე ტელევიზია და არასამთავრობო ორგანიზაცია დახურა. აზერბაიჯანმა თავის ქვეყანაში არცერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არ შეუშვა. შედეგად, ამ ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესება, სახეზეა. 90-იან წლებში ჩვენი მოსახლეობა 5,5 მილიონს შეადგენდა, აზერბაიჯანის კი — 5 მილიონს. დღეს აზერბაიჯანში 10,5 მილიონი მოსახლეა, ჩვენ კი — მხოლოდ 3,5 მილიონი დავრჩით. აზერბაიჯანში კულტურა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა ყვავის, აქ ყველაფერი განადგურდა. იმიტომ, რომ უცხოეთიდან დაქირავებული აგენტები ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებენ.

არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო ოპოზიციის საქციელს, რომელმაც ევროინტეგრაციის ოფიციალურ დოკუმენტს მხარი არ დაუჭირა. არადა, თავი მოაქვთ, თითქოს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იბრძვიან. მათ დასავლეთიდან დირექტივა მიიღეს, ამ რეზოლუციისთვის მხარი არ დაეჭირათ. საქართველოში ამ ფონდების შემოშვება უნდა აიკრძალოს. ამ საკითხს პრინციპულად მიუდგა ბელორუსი. მან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გადატრიალების მოწყობას აპირებდნენ, ქვეყნიდან გაყარა. ჩვენც იგივეს თუ არ გავაკეთებთ, საქართველოში უარესი მოხდება.

როგორც იცით, „ქართული ოცნება“ ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ, კანონის ინიცირებას აპირებს. ამის პასუხად რა ხდება? — არასამთავრობო ორგანიზაციები მცხეთაში ერთ-ერთი ორგანიზაციის ოფისში შეიკრიბნენ და იმსჯველეს, როგორ დაბლოკონ ეს კანონი და საქართველოში მეორე 7-8 მარტის სცენარი მოაწყონ. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: ლგბტ ჯგუფების პროპაგანდა საბავშვო ბაღებში, სკოლებში, უნივერსიტეტებში უნდა აიკრძალოს! ამ დაწესებულებებში, სამწუხაროდ, დღემდე შემორჩნენ ნაცი პედაგოგები, პროფესორები, რომლებიც ამ იდეოლოგიით ბავშვებს წამლავენ. მთავარია, ხელისუფლება ამ საკითხს პრინციპულად მიუდგეს. დარწმუნებული ვარ, კანონს მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს დაუჭერს, ასევე, მწერლებიც, საზოგადო მოღვაწეები. თუ ენჯეოები ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული კანონის გასაპროტესტებლად გამოვლენ, ქართულმა საზოგადოებამ მათ საკადრისი პასუხი უნდა გასცეს. ამ სოდომური იდეოლოგიის დამნერგავი ორგანიზაციები თავიანთ ნებაზე არ უნდა მივუშვათ.

სუს-მა ეს ორგანიზაციები სპეციალურ კონტროლზე უნდა აიყვანოს. ვიმეორებ, ვინც არ გაასაჯაროებს, რა მიზნით შემოაქვთ საქართველოში და რაში იხარჯება ეს თანხები, უშიშროების სამსახურებმა ეს ორგანიზაციები საქართველოდან უნდა გააძევონ. ისინი საქართველოს მტრები არიან და არა სტრატეგიული მეგობრები. თუ ამერიკა მართლაც ჩვენი სტრატეგიული მეგობარია, მაშინ თვითონ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მტრულად განწყობილი ორგანიზაციების მიერ საქართველოში თანხების შემოდინება დაბლოკოს. ასევე უნდა მოიქცეს ევროსაბჭოც და სხვა რიგი ორგანიზაციები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ნიშნავს, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში წყალს თავად ამღვრევენ და პოლიტიკური ბაკქანალიის მოწყობას აპირებენ, რაც ძალიან ცუდი შედეგით დამთავრდება.

— რა მოხდება ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, ენჯეოები თეთრ სახლთან რომ მივარდნენ და ბაიდენის გადაყენება მოითხოვონ?

— იქიდან ყველას ერთ საათში გაყრიან. რაც აქ 7-8 მარტს მოაწყვეს, ამას ვერც ამერიკა აიტანს და ვერც ევროპა. ხომ უყრებთ, როგორ დაუნდობლად არბევენ მომიტინგეებს უცხოეთში. თუ ამერიკაში მანქანებს დაწვავ, პოლიციელებს მოლოტოვის კოქტეილებს ესვრი, ეს დანაშაული, კრიმინალია, აქ კი იგივე ქმედება დემოკრატიასთან ასოცირდება. ჩვენმა პარტნიორებმა საქართველოს წინააღმდეგ ორმაგი სტანდარტი არ უნდა დაუშვან. კარგ რჩევებს ყოველთვის მივიღებთ, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტის ლგბტ პროპაგანდას ვერ გავიზიარებთ. იგი ამბობს, ლგბტ

იდეოლოგია ამერიკული სულიაო. ბაიდენი ამაყობს, რომ მის ადმინისტრაციაში 70% ლგბტ იდეოლოგიის წარმომადგენელი მუშაობს. თავად როგორც სურთ, ისე იცხოვრონ, ჩვენს იდენტობას, ტრადიციებს კი, რითაც გადავრჩით, პატივი უნდა სცენ.

— ევროპა გვეუბნება, რომ ცხრა დათქმა თუ არ შესრულდა, ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებები არ გაიხსნება.

— დიახ, ხან გვემუქრებიან, დეზინფორმაციის წინააღმდეგ არ იბრძვითო, ხან გვეუბნებიან, მოსამართლეების კეთილსინდისიერება შეამოწმეთ, თორემ ცულს მოვიტანთ ცუნცულასაო და ა. შ. აღმოჩნდა, რომ სასამართლო სისტემაში გვყოლია მოსამართლეები, რომლებიც პირდაპირ დასავლეთიდან იმართებიან და მათ დავალებებს ასრულებენ. ცხრა დათქმიდან სამი-ოთხი პირდაპირ საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგება. რას ნიშნავს დეზინფორმაციის გავრცელება? თუ გარკვეულ პუნქტებს არ ვეთანხმებით, ან იმ დადგენილებების მიღებაზე ვამბობთ უარს, რაც საქართველოს ინტერესში არ შედის, მაშინვე დეზინფორმაციის გავრცელებაში გვადანაშაულებენ. რა გამოდის, ევროპის ყველა მოთხოვნას ბრმად უნდა დავეთანხმოთ და მან ჩვენი ინტერესები არ უნდა დააკმაყოფილოს?! ეს სტრატეგიული თანამშრომლობა კი არა, ცალმხრივი ქმედებებია. ასეთი ზეწოლის ქვეშ, რასაც ჩვენს მიმართ აშშ და ევროპა ახორციელებენ, საბჭოთა კავშირის დროსაც კი არ ვყოფილართ. ქართველი ხალხი თავმოყვარეა — რუსებს არ მოუთმინეს და საბჭოთა კავშირის დანგრევაში ერთ-ერთი პირველები იყვნენ. ასე რომ, თუ დასჭირდათ, ევროკავშირის წინააღმდეგაც წავლენ.

— ოპოზიცია არჩევნების მეორე დღისთვის ემზადება. თუ ზურაბიშვილი არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებს, რა ძალა ექნება მის სიტყვას?

— „ნაცმოძრაობა“ აღარ არსებობს. მისი რეიტინგი განულებულია, რომლის ლიდერი ლუქსში ისვენებს. იგი აუცილებლად ციხეში უნდა გადაიყვანონ და ისევე მოიხადოს სასჯელი, როგორც სხვა პატიმრები იხდიან. პრეზიდენტმა რომც შეიწყალოს, მალევე უკან შეაბრუნებენ. რა დანაშაულისთვისაც სასჯელს იხდის, ეს ცინიზმია. მთავარი დანაშაული ტერიტორიების დაკარგვაა, რისთვისაც მას სამუდამო პატიმრობა უნდა მიესაჯოს. ნაცებს რეიტინგი ავანტიურისტი სააკაშვილის წყალობით ჰქონდათ. ხაბეიშვილის ლიდერობით რამდენ პროცენტს მიიღებენ, შემოდგომაზე დავითვლით.

თამარ შველიძე

ზნედაცემული ანგელოზი

სამსახურიდან გვიან და დაღლილი გამოვედი, მაგრამ ისეთი კარგი საღამო იყო, ფეხით ავუყევი ვაგზლამდე. ქალბატონი თამარის ძალისხმევით კარგი ნასვამ-ნაჭამი გახლდით, ამდენად, ვაგზლის მოედანზე ცერადღა გავხედე საცხობს, სადაც ჩებურეკების მირთმევა და ვაგზლის ბოზების თვალიერება მიყვარს — ყველანი ადგილზე იყვნენ ერთის გარდა, არადა, იქვე ცხოვრობს, გოგოლის №10-ში. დიდუბე-ჩუღურეთის უსაქმური კრიმინალური პოლიციაც ადგილზე იყო. მათ ყურებაში ჩემი №466 „მარშუტკა“ დაიძრა და ამხელა კაცი პატარა ბიჭივით შევხტი დაძრულ მანქანაში. რა ძალა მედგა, დასაჯდომი ადგილი არ იყო და დავრჩი მოკაკვული. ადგილს ვინ დაგითმობს...

ვარაზისხევი რომ ავათავეთ, შუქნიშანზე გავჩერდით და გავიჭედეთ. გავხედე ტარას შევჩენკოს განათებულ ძეგლს და რას ვხედავ — შევჩენკოს მუხლებზე ფეხმორთხმით დასკუპებულა კოხტად გამოწკეპილი ცილინდრიანი მამაკაცი და შუა მარტში, ღამე, ნაყინს ისე ტლეკს, რომ მის წითელ ენას სამოცი მეტრიდან ვარჩევ. ვიცანი. ბევრი აღარ მიფიქრია, ჩამოვედი გაჩერებაზე და მისკენ წავედი.

— აქ რა გინდა, საქმე არაფერი გაქვს? — შევუძახე ჩემებურად.

— ჩემს საკეთებელს თქვენ აკეთებთ და მე რა საქმე უნდა მქონდეს? — არ შემობრუნებულა, ისე მიპასუხა გაზეპირებული ფრაზით.

— აქ რატომ ზიხარ? — ვკითხე და დაბალ კვარცხლბეკზე გვერდზე მივუჯექი.

— ვისვენებ და თან ვფიქრობ.

— ძეგლზე ჩამოჯდომა არ შეიძლება, გთხოვთ, აბრძანდეთ! — თავზე დამადგა საიდანღაც ამომძვრალი ახალგაზრდა პატრული.

— რა გაცინებს, მახინჯო? — დავიღრინე მაქსიმალურად ხმადაბლა, მაგრამ პატრულმა მაინც გაიგო და, რა ბრძანეთო?

რაც ვთქვი, მშვენივრად გაიგონა, მაგრამ რა მეთქვა, თქვენთვის არ მითქვამს, აგერ, ნაცნობი ეშმაკი ზის და იმას ველაპარაკები-მეთქი? ხომ ეგრევე გადარეკავდა და რომელიმე ფსიქიატრთან გამაქანებდნენ.

— ფიქრებში ვიყავი გართული და... — აღარ ვიცოდი, რა მეთქვა.

პატრულმა იჭვნეულად შემათვალიერა და გამერიდა.

— წამოდი, სახლამდე მაინც გამაცილე, უსაქმურო! — მივმართე ეშმაკს.

— მეზარება... თუ გინდა, „მარშუტკით“ წავიდეთ, რაღაცნაირად მიყვარს ეგ შენი „მარშუტკა“. ცოტა შეცდომით აწერია, მაგრამ არა უშავს, 466 კი არა 666 უნდა ეწეროს. მაშასადამე, ვაკელები ჩემი ახლობლები ხართ, — ახითხითდა და გამოაჩინა ღრჯოლები.

რა უცნაურია, აზრად არ მომსვლია ასეთი რამ.

— წამო, ჰო, — ვუთხარი და გაჩერებისკენ წავედით.

გაჩერებაზე არავინ იდგა, მაგრამ იქვე, „არკიდან“ გამოსულმა ჰასკის ჯიშის ძაღლმა უეცრად მოკურცხლა, გამსეირნებელი პატრონი გაითრია და გაექცა. საწყალი ქალისკენ გავიქეცი, ფეხზე წამოვაყენე — გაოგნებული იყო, რა მოხდა წამიერად, ვერ მიხვდა, მერე კი „ლორდი, ლორდის“ ყვირილით გაიქცა იქით, საითაც ძაღლი გავარდა.

— არ გრცხვენია? ქალს რას ერჩოდი, — დამასწრო ეშმაკმა და ჩემი სათქმელი ისე მითხრა, მეგონა, ჩემს ხმას ვისმენდი.

ხელი ჩავიქნიე და სიგარეტს მოვუკიდე.

— კარგია. ადამიანმა სიგარეტიც უნდა მოწიოს, — ამოაძვრინა ჯიბიდან ორი ცალი იდეალის“ ნაჭერი და ერთი მე მომაწოდა. არ მინდა, დიეტა დავიწყე-მეთქი და ახლა ორი ბოთლი ამოაძვრინა გულისჯიბიდან — „ხვანჭკარა“ და „ქინძმარაული“, რომელი ჩავცხოთო.

— მომწყდი თავიდან! — ისე ვუყვირე, მიპირდაპირე მხარეს მიმავლებმა გამომხედეს.

ამასობაში მომდევნო №466-იც მოვიდა და ავედით. ტრანსპორტში უკვე აღარ იყო ბევრი ხალხი და დავჯექი. ინსტინქტურად მიმოვიხედე. პატარა გოგონა დავინახე, ჩანთიდან ავტოკალამი ამოეღო და სკამზე ხატვას აპირებდა. სასწრაფოდ შევაჩერე, არ შეიძლება-მეთქი. გვერდზე მჯდომი ქალი მეცა, რა გნებავთ, ბატონო, ჩემი შვილიშვილისგანო? გავხედე და ის მახინჯი სიცილისგან ბჟირდებოდა.

— გაჩერებაზე გამიჩერეთ! — გავძახე მძღოლს.

ჩამოვედი და ამომიდგა გვერდში, რა იყო, რას ბრაზდები, იუმორის გაგებაში არა ხარო.

— ზურა, ეხლა ჩვენ რომ ფალიაშვილის ქუჩაზე სკოლა გამოვიარეთ, ხომ გრუშევსკის სახელობისაა? — მკითხა უმწიკვლო ხმითა და ინტონაციით.

— მერე?

— იქ ტარას შევჩენკოს ძეგლი ხო გიდგათ, ვაკე-ვერას საზღვარზე, აქ — მიხეილ გრუშევსკის სახელობის სკოლა; დადიხართ მარშრუტზე ვაკე-ვაგზალი, იქ კიდე ნიკოლაი გოგოლის ქუჩაა. ვაკელები უკრაინა ხართ? — ისე მოეწონა საკუთარი ნათქვამი, თვითონვე გადაიხარხარა.

რა უცნაურია, არც ეს დამიკავშირებია არასდროს ერთმანეთთან.

— ის იენს სტოლტენბერგი რომ გყავდათ, ვაკეში რატომ არ გამოასეირნეთ, ეტყოდით, ჩვენი უკრაინა აქ არის, თუ დაბომბვაა, აგერ, ვაკე დაგვიბომბოს რუსეთმაო, — ხარობდა მახინჯი.

— ერთი იმის კარგიც... — შევუკურთხე გემრიელად.

— მე, ხომ იცი, მაღლა, ცაში ვერ ავდივარ, მაგრამ დაბლა, აეროპორტის წინ, თითი მოვაწეწკვე მანქანის კარებში, — გაულურჯდა და გაგიჟდა ტკივილისგან, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო. ახლა ოხშივარადენილი ჩაქაფულიანი ქვაბი ამოაძვრინა ეშმაკმა ჯიბიდან და თვალი ჩამიკრა,

მაგრამ ისეთი დავუბღვირე, სასწრაფოდ უკანვე ჩააბრუნა.

— რას მოათრიე ის სტოლტენბერგი? — ვკითხე მკაცრად.

— მე რას მოვათრიე, ლუციმ გამოუშვა კავკასიაში.

— სომხეთში რაღა უნდოდა, ან ბაქოში?

— საქართველოში რა უნდოდა, ხომ ძალიან გაიგე, რააა... ლუციმ ტოტალიზატორში წააგო და თათბირზე ისეთი რამე თქვა, ყველას პირი დაგვრჩა ღია — უკრაინაში ვეღარ ვერთობი, რაღაც ახალი უნდა მოვიგონოო.

— მერე?

— რაღა მერე, ლუცის რა უნდა მთლად მაგაზე არ არის საქმე, ღმერთი ზემოდან იყურება. ერთი ახალი გვყავს, ის დაასვა მხარზე სტოლტენბერგს და თვითონაც აზრზე არ არის საწყალი იენსი, რას დაცუნდრუკობს კავკასიაში, დაუზეპირებია სიტყვები და რაღაც „ღრმად ღირებული პარტნიორობა“ და „კავკასიური ტურნე“ გაუდის. ვერ ვიტან ამ ანგლოსაქსებს, თავიანთი სექტა აქვთ, ჩვენ არ გვეკონტაქტებიან, ზედაც არ გვიყურებენ, ვითომ ჩემზე მაგარი ეშმაკები არიან, — ისე დაგრიხა ტუჩები, ისევ ორივე ღრჯოლი გამოუჩნდა.

— იქაცა გაქვთ სექტები? — გულიანად გამეცინა.

— რა გაცინებს? ყველაფერი გვაქვს, რაც ადამიანებს გაქვთ. ისინი იმთავითვე ჩაკეტილ სისტემაში არიან, მხოლოდ ლუციმ იცის ყველაფერი. ასე რომ, რამდენიც გინდა, ენა გიჩლიქონ ანგლოსაქსებმა, ჩვენ მხარს ვუჭერთ თქვენს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; ასევე, თქვენს ძალისხმევას თქვენი დემოკრატიის გასაძლიერებლად და სრული ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისაღწევადო, არც დაიჯეროთ და არც მოინდომოთ, — ლუცისგან ვიცი, რომ ღმერთი მაგას არ დაუშვებს. ამ ევროპას კიდე, თავისი გასჭირვებია, თქვენ რაღას ეკიდებით — გვეხვეწებიან, კეთილად დაგვაჯექით მხრებზეო და ვინც კარგ ხასიათზე ვართ, დროდადრო ვასხდებით ხოლმე. ვინც ანგლოსაქსები არ არიან, მაგარი ცოდოები არიან... აგე, სურათად გქონდეს, რა იქნება მაგათი ბოლო, თუ მაშინ არ დაგვიჯერებენ, როცა კარგ ხასიათზე ვართ. აგე, ევროპელებს თვითონ დავახატინე, — მითხრა და სურათი ამოაძვრინა ჯიბიდან, შენი იყოსო.

— რომ არ უნდა დავიჯერო, ვიცი, მაგრამ მონდომებას რა უდგას წინ? — ევროპა არ მენაღვლებოდა, ჩემი მაწუხებს.

— ბიჯო, ომი და უბედურება კი გინდათ ამ საქართველოში, მაგრამ ღმერთს არ უნდა და ძალაა?! საქართველო ღვთისმშობლისაა და რას ეძალავებით?!

— რაც საქართველოს ომები და სისხლისღვრა აქვს გადატანილი, მაშინ ღვთისმშობლისა არ იყო?!

— იყო და იმიტომაც ხართ ისევ, თორემ აბა, გადახედე, სად გაქრა მსოფლიოს უდიდესი და უძლიერესი ცივილიზაციები? მოიცა, შენ რა გინდა, თითი არ გაანძრიოთ? თქვე კაი ხალხო, ქრისტე თქვენს გამო ეცვა ჯვარს და თქვენ ღმერთის მოცემული სისხლის დაღვრაც არ გინდათ? მიწა ხართ და მიწად უნდა იქცეთ, მაშ, როგორ გინდათ? ყველა ერთად თუ დაიხოცეთ, ეგრე არ გამოვა, გაქრებით, ამიტომ ზოგი დღეს, ხოგი ხვალ, ზეგ და მაზეგ უნდა გაუყვეთ გზას. ვაჰ, რატომ გაგაკეთათ ღმერთმა ეგეთი უმადურები? — აღშფოთდა და ჯიბიდან ამოღებულ ჩუპა-ჩუპსის ჯოხს ნახევრადშიშველი ქალის სურათი ფრიალით ამოჰყვა და აბაშიძის ქუჩაზე გაფრიალდა.

— ეს რაღა იყო? — ჩავეკითხე ეჭვით.

— შენთვის არ იყო, დაიკიდე და მოგეშვება, — გამიცინა და ჩუპა-ჩუპსი ისე გატლიკა, ზედ ორკეცად შემოახვია თავისი ენა.

— საქართველოს ქალებიც შენ გაბარია? — გამეცინა ჩემივე შეკითხვაზე.

— ქალებიც, მაგრამ უფრო პედერასტი კაცები.

— ბოროტი ხარ...

— არა, მე ბოროტი კი არა, ზნედაცემული ანგელოზი ვარ, ამიტომ ძალიან მინდა, რომ ყველა ჩემსავით ზნედაცემული და მახინჯი იყოს. თუ კარგ ხასიათზე ვარ, კეთილად ვაეშმაკებ, ვისაც მოვისურვებ. რას ჩაფიქრებულხარ?

სიგარეტი გამითავდა და იმას ვფიქრობდი, რომელ მარკეტში იქნება, რაც მე მინდა-მეთქი და მის შეკითხვაზე ინსტინქტურად ხელი მოვისვი ჯიბეზე — ჩავიყავი ხელი და გაუხსნელი კოლოფი ამოვიღე. ვერაფრით გავიხსენე, როდის ჩავიდე მეორე კოლოფი ჯიბეში და ცერად გავხედე ეჭვმიტანილს.

— მე რას მიყურებ, სამი დღის წინათ ჩაიდე გულისჯიბეში და იმის მერე არ გცმია ეგ პალტო. რა ყველაფერს მე მაბრალებ? ბარემ ადექი და რუსეთის უკრაინაში შეჭრაც მე დამაბრალე! — აღშფოთდა ეშმაკი.

— აბა, ვის დავაბრალო?

— რუსეთს არა, ჩვენ უკრაინას ჩავეხუტეთ, ჩვენიანი ეგაა. ვერა ნახე, კიევ-პეჩორის ლავრას რა უქნეს? გუშინწინებზე კიდე, ლვოვის რაიონის სოფელ სმიჟოში უკრაინელმა ბანდერელებმა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია დაწვეს. ხალხი იჭყლიტება არა ისა! უნდათ და იჟლიტება — აბა, თვითონ რატომ არ იჟლიტებიან? კარგი, წავედი, ეხლა იმ ტიპს უნდა დავაჯდე მხარზე, ვისთვისაც იმ გოგოს სურათი გავაფრიალე. ჭკუით იყავი, მე არსად მივდივარ, აქ ვარ და სიტუაციას ვაკონტროლებ! — დამიბარა და გაქრა.

შენ რა გითხარი, დავით ბატონო, ეს რა შავი ღვინო დაგიწურია, მოჩვენებები დამეწყო...

ზურა ომხერელი

„მიმაჩნია, რომ ზედმეტი სიმკაცრით გაზრდილი ადამიანი კარგ პიროვნებად არ შეიძლება ჩამოყალიბდეს. თავისუფალ ქვეყანაში დაბადებული თაობა ვერაფრით იაზროვნებს ისე, როგორც საბჭოთა ეპოქაში დაბადებულები აზროვნებდნენ, - ამის შესახებ „საერთო გაზეთთან“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქაქუთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მენტორი პედაგოგი, დირექტორის მოადგილე მედეა კალანდარიშვილი საუბრობს.

პედაგოგი, 50-წლიანი პროფესიული გამოცდილებით, რომელიც ახლა უკვე თავისი პირველი მოსწავლეების შვილიშვილებს ასწავლის, მიიჩნევს, რომ განათლების სისტემაში ბევრი რამ შესაცვლელია, შედეგის მისაღწევად კი კომპლექსური მიდგომებია საჭირო.

თავისუფლება კანონმორჩილებას და პასუხისმგებლობას გულისხმობს...

- ქალბატონო მედეა, როგორც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პედაგოგი, როგორ შეაფასებდით ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის ხარისხს ევროპისკენ მიმავალ გზაზე?

- ევროპისა და ევროპული განათლების მიღების წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ ჩემი ქვეყანა, თავისი ისტორიითა და კულტურით, ამ დიდ ოჯახში შესვლას იმსახურებს, მაგრამ ვართ თუ არა მზად ამისათვის? - მე ვფიქრობ, რომ ჯერ არა! მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში, ჯერ განათლების სისტემის ერთი რეფორმაც არ მინახავს, რომელიც ბოლომდე მიიყვანეს, რომელმაც დადო თავისი შედეგი. არ მინდა, ჩემი ნათქვამი ისე გაიგოთ, თითქოს არაფერი კეთდება, მაგრამ რისთვის ვატარებთ რეფორმას, თუ მან სასურველი შედეგი არ მოგვცა?

- ვინც თანამედროვე სასწავლო სახელმძღვანელოებს საფუძვლიანად იცნობს, ისინი ამტკიცებენ, რომ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კარგა ხანია, ეროვნული სული ამოაცალეს...

- შეიძლება გარეთა თვალი ასე ხედავს, თითქოს სასწავლო პროგრამას ეროვნული სული ამოაცალეს, რადგან, უმეტესწილად, სახელმძღვანელოების მიხედვით მსჯელობენ, მაგრამ არც ასეა საქმე. რაც ყველაზე მეტად სჭირდება ახლა ჩვენისთანა პატარა ქვეყანას, ჩვენს ძლივს გადარჩენილ ქართველობას, ეს ეროვნული მიმართულება და პატრიოტიზმია. მე ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ პატრიოტიზმს (ოღონდ არა ფსევდოპატრიოტიზმს) იდეოლოგიად გამოვაცხადებთ, რადგან ჩვენ ვერც ეკონომიკით და ვერც ტექნოლოგიებით გავაკვირვებთ მსოფლიოს, ჩვენ თავი ქვეყნის სიყვარულითა და მისთვის ბრძოლით უნდა გავიტანოთ, მისი კულტურის დაცვითა და ისტორიის პატივისცემით!

ყველაფერი მხოლოდ სახელმძღვანელოზე არ არის დამოკიდებული და არც იმაზე, ვინ რას მიგითითებს „ზემოდან“. სიმართლე თუ გაინტერესებთ, სხვისი კარნახით იშვიათად ვაკეთებ რამეს. ვაკეთებ იმას, რაც მართებულად მიმაჩნია და ამ მხრივ არც არასდროს ვიზღუდებოდი. ასე ვმუშაობდი საბჭოთა პერიოდშიც, ვცდილობდი და ვცდილობ, ისე ვასწავლო ბავშვს, რომ მაღალი სულიერება და ეროვნული ღირებულებები ჩამოვუყალიბო. დღეს ძალიან პრაგმატული თაობა მოდის, ტექნოლოგიების თაობა, იოლი არაა მათი ლიტერატურით, კითხვით დაინტერესება. ათასნაირ ხერხს ვიყენებ, რათა ისინი დავაინტერესო ჩვენი გენიოსი მწერლების ნაზრევით, სულიერი ფასეულობებით... ვეძებ გზებს, ვთავაზობ მათ, ძირითადად, ჩემს მოაზრებულს, გაკეთებულს, ნაცადს და არა რომელიღაც უცხო ქვეყანაში გამოცდილს, უცხო ენიდან თარგმნილსა და ცუდად გადმოქართულებულს... მაქვს ჩემი ტაქსონომია, რადგან 50 წელია მოსწავლეებს ყოველდღიურად ვუყურებ და ვხედავ მათ საჭიროებებს, გამოწვევებს. ვხედავ, როგორ იცვლებიან ისინი და ვფიქრობ, როგორ უნდა შევიცვალო მეც, დროისა და ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. ამის გამო ჯერ არავის დავუსჯივარ. არავინ მოსულა და არ უთქვამს, ამას რატომ აკეთებო. მთავარია, სასწავლო მიზნები შეასრულო! ამიტომაც მიმაჩნია, რომ მასწავლებელზეა მაინც ყველაფერი დამოკიდებული. დიახ, გამართული სახელმძღვანელოები მნიშვნელოვანია, სასწავლო რესურსებიც, მაგრამ მასწავლებელია ყველაზე მთავარი რესურსი. მხოლოდ მას შეუძლია ხელიდან არ გაუშვას მომავალი თაობის ეროვნული სული.

- გახსენდებათ რამე „საბჭოთა სკოლიდან“, რასაც თანამედროვეობაშიც სასურველად მიიჩნევდით?

- ნებისმიერ დროს, როგორი „ავადსახსენებელიც“ უნდა ვუწოდოთ მას, ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა „ოქროს შუალედი“ ყველა დროში შეიძლება მოძებნო. ადრე, შესაძლოა, ცოტა მეტ დაზეპირებას ითხოვდნენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ტექსტიდან ადგილების ზეპირად სწავლა უამრავი თვალსაზრისით კარგია, თუნდაც მეხსიერებისთვის, რაც დღეს აქტუალურია. თუმცა, უაზროდ კი არ უნდა დაიზეპირო, ანალიზი უნდა შეგეძლოს. ქართველი კაცი რომ რუსთაველს, ილიას, ვაჟას ვერ მოიშველიებს... ერთ სტრიქონსაც ვერ გაიხსენებს არგუმენტისთვის - მოსაწონია? არგუმენტს ლიტერატურული პარალელი სჭირდება და თუ არაფერი იცი ზეპირად, როგორ უნდა დამავჯერო, რომ რაღაც თემაზე შენი მსჯელობები მართებულია. მოსწავლეებს არაფერს ვაძალებ, მაგრამ ვახერხებ ისე, რომ ისინი მნიშვნელოვან ტექსტებს ზეპირად სწავლობენ. თუმცა, არიან ისეთი ბავშვებიც, რომლებსაც დაზეპირება უმარტივდებათ, მაგრამ ტექსტის ანალიზი უჭირთ. ერთდროულად ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი მიდგომა, ინტერპრეტაციის უნარი უნდა განუვითარო მოსწავლეს. მიმაჩნია, რომ ადრე შედარებით ნაკლები მოთხოვნა იყო ანალიტიკურ აზროვნებაზე, მიჰყვებოდნენ მხოლოდ ერთი კრიტიკოსის იდეოლოგიას და მოსწავლეს არავინ ეკითხებოდა, მიაჩნდა თუ არა კონკრეტული მოსაზრება მართებულად... ახლა ამაზე მეტი მუშაობა მიდის. საბჭოთა ეპოქაში ვიბრძოდით ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბებისთვის, ახლა ვიბრძვით იმისათვის, რომ ტექსტი უკეთ ისწავლონ და შემდეგ მასზე არგუმენტირებულად მსჯელობა შეძლონ.

- აჭარაში ცხოვრობენ განსხვავებული რელიგიის წარმომადგენლები, ქართველი მუსლიმები... ჰაგიოგრაფიის სწავლება, მუსლიმ ბავშვებთან პრობლემას ხომ არ გიქმნით?

- ჩემი აზით, ჰაგიოგრაფიაზე ცოტა გადაჭარბებული აჟიოტაჟია. განათლება არავითარ შემთხვევაში არც პოლიტიკასთან და არც მინისტრების ცვლასთან არ უნდა დავაკავშიროთ. მინისტრები შეიძლება გამუდმებით იცვლებოდნენ, მაგრამ უნდა არსებობდეს მიზანი, რომელსაც გააზრებულად მივყვებით. შეუძლებელია, ოდესმე ისე დასვან საკითხი, რომ ჰაგიოგრაფია სკოლაში აღარ ისწავლებოდეს. აქ საუბარი იყო ტექსტების შემცირებაზე და არა ამოღებაზე. მე თუ მკითხავთ, ამ სამივე ნაწარმოებს საშუალო საფეხურზე გადავანაწილებდი. 15 წლის ბავშვის გონება ნაკლებად არის ორიენტირებული ისეთი სირთულის ტესტების გასააზრებლად, როგორიცაა ჰაგიოგრაფია. მათ უწევთ ერთ კლასში შეისწავლონ არა მხოლოდ ჰაგიოგრაფია, არამედ „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა, გურამიშვილი... მაგალითად, როდესაც „შუშანიკის წამებას“ ვიწყებთ, ბავშვები ინტერესით ერთვებიან სწავლის პროცესში, შემდეგ, როდესაც „აბო თბილელის წამებაზე გადავდივართ“, მათი ინტერესი იკლებს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ კი, - უფრო მეტად! ეს იმის გამო კი არ ხდება, რომ ბავშვებს სძულთ, ან არ მოსწონთ ჰაგიოგრაფია - მათი ასაკი ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას ხანგრძლივად, იღლებიან... ამიტომ ეს ტექსტები უნდა გადანაწილდეს მომდევნო კლასებზე. ასე ძველ ნასწავლსაც გაიხსენებს ბავშვი, ახალ ნაწარმოებთან პარალელს გაავლებს და უკეთესად გაიაზრებს. მიმაჩნია, რომ ქრონოლოგიურად სულაც არ უნდა იყოს დალაგებული ძველი ქართული, ახალი ქართული და უახლესი ქართული ლიტერატურა. უნდა ვასწავლოთ იმ თანმიმდევრობით, რაც მოზარდის ასაკს და განვითარებას შეესაბამება. სასურველია, თემატურად ახლოს იყოს სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებები შერჩეული.

რადგან გვყავს როგორც ქრისტიანი მართლმადიდებელი, ასევე მუსულმანი მოსწავლეებიც, მაქსიმალურად ვცდილობთ, ბავშვებს შორის რელიგიური წინააღმდეგობა არ წარმოიშვას. როდესაც ვსაუბრობთ ან გაკვეთილს ვხსნით, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ რომელიმე მათგანის რწმენა არ შეურაცხვყოთ, თუმცა, არასოდეს მქონია პრობლემა მუსლიმ ბავშვებთან ჰაგიოგრაფიის სწავლებასთან დაკავშირებით. იციან, რომ მე მათ რელიგიას არ ვასწავლი, ეს არის ლიტერატურა, ეს არის ჩვენი კულტურა, ქართული ლიტერატურის ისტორიის დასაწყისი, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ მას და ისიც უნდა იცნობდეს, როგორც ქართველი! მაგალითად, როდესაც „აბო თბილელის წამებას“ გავდიოდით, ერთმა მუსლიმმა მოსწავლემ მკითხა, აბომ ხომ უღალატა თავის სარწმუნოებას და ის არ არის მოღალატეო?! ქრისტიანს რომ ეღალატა, მოგეწონებოდათო?! — რეალურად კი, თვითონ ტექსტია ამოსავალი, ის გვცემს ყველა კითხვაზე პასუხს. როდის „უღალატა“? - როდესაც გაეცნო ქრისტიანულ სარწმუნოებას და ეს ჭეშმარიტებად მიიღო. ის ხომ განსწავლული ადამიანი იყო. ვინმემ ფულით მოისყიდა? შეაშინა? - არა. შესაბამისად, ეს იყო აბოს თავისუფალი ნება, მას როგორც სჯეროდა, როგორც სწამდა, ისე მოიქცა. შენ ხარ ქართველი და გაქვს მუსულმანური სარწმუნოება, ანუ, თავისუფალი ადამიანი ხარ და არჩევანში არავინ გზღუდავს. ჩვენ შენს თავისუფალ ნებას პატივს ვცემთ. აბო თბილელი არის სახე თავისუფლებისა, რომელიც არაფრით იხიბლება და იმ რწმენას მიჰყვება, რასაც ჭეშმარიტებად მიიჩნევს, - ეს იყო ჩემი პასუხი.

- ქალბატონო მედეა, ახლა „მათი დროა“ — ახალგაზრდების, რომლებმაც ხვალ ჩვენი ქვეყანა უნდა ჩაიბარონ და „კანონებსაც“ ისინი გვთავაზობენ. საინტერესოა თქვენი, როგორც „ყველა ეპოქის“ მასწავლებელის გამოცდილება. რა მოიტანა დრომ, რა შეიცვალა, რა სურთ ბავშვებს?

- მახსოვს დრო, როდესაც ურჩი მოსწავლის მშობელი შვილის დასჯას თავად მთხოვდა - არ გიჯერებს? -დასაჯე და დაგიჯერებს! აბა, ახლა ვინმემ გაბედოს და მის შვილს ხმამაღლა დაელაპარაკოს! თუმცა, ყველა დროში დასჯის მეთოდის წინააღმდეგი ვიყავი, რადგან მიმაჩნია, რომ ზედმეტი სიმკაცრით გაზრდილი ადამიანი კარგ პიროვნებად არ შეიძლება ჩამოყალიბდეს. თავისუფალ ქვეყანაში დაბადებული თაობა ვერაფრით იაზროვნებს ისე, როგორც საბჭოთა ეპოქაში დაბადებულები აზროვნებდნენ. „ჩემს დროს“ რომ, მაგალითად, ენას ვერ შეუტრიალებდი მასწავლებელს, რაღაცის კითხვა გინდოდა და ვერ ბედავდი, თვალს ვერ უსწორებდი - მოგწონდა? ამაზე უნდა დაფიქრდე პედაგოგი! ახლა მე ჩემს მოსწავლეებს ვავალებ, ვაძალებ, ვეხვეწები, რომ ყველაფერი თქვან, თავისუფლებას ვაძლევ, რათა ვიცოდე, რას ფიქრობენ, როგორ ფიქრობენ, როგორ მოსწონთ... თუმცა, ახლა ზოგიერთს გაუგონია, რომ მასწავლებელს უფლება არა აქვს, ბავშვს შენიშვნა მისცეს, არადა, მშობელი თვითონ უნდა თხოვდეს პედაგოგს, რომ შეუსწოროს მის შვილს, თუკი რამეს არასწორად აკეთებს. ჩვენ ის ერი ვართ, რომელიც ტრადიციებს დიდ პატივს სცემს და უფროსი ადამიანის წინაშე მოკრძალება გვმართებს.

სკოლაში ინფორმაცია გამოაკრეს, რომ თურმე 112-ში უნდა დარეკოს ბავშვმა, თუკი რამ არ მოეწონება, თუ ვინმე „უფლებებს უზღუდავს“. ეს „შეზღუდვა“ კი შეიძლება იყოს შენიშვნის მიცემა... მიმაჩნია, რომ არც ეს არის სწორი დამოკიდებულება. ასე თავისუფალ მოქალაქეს კი არა, ეგოისტ თაობას გავზრდით. თავისუფლება, ამავდროულად, კანონმორჩილებას, პასუხისმგებლობას გულისხმობს... სად არის აქ კანონმორჩილება, ან პასუხისმგებლობა?! გადაჭარბებულია ეს ყველაფერი და არაფრით არ მოგცემს სასიკეთო შედეგს. უფროს ადამიანებსაც გვაქვს უფლებები, მასწავლებელსაც შეუძლია ტაქტიანად მიუთითოს ბავშვს შეცდომაზე და პასუხისმგებლობის გრძნობა ჩამოუყალიბოს. მთავარია, შეურაცხყოფა არ მიაყენოს მას, თავმოყვარეობა არ შეულახოს..

ნონა ქარქაშაძე

სოციალური ქსელი - არასრულწლოვნების დანაშაულის იარაღი?

ბოლო ხანს სოციალური ქსელი არასრულწლოვნებისთვის დანაშაულის იარაღად იქცა. ტექნოლოგიური სიახლეების წყალობით არაერთი მოზარდი ნებით თუ უნებლიეთ დანაშაულებრივ საქმიანობაში ერთვება ხოლმე. სამწუხაროდ, მშობლებმა მომავალი თაობა, როგორც ფაქტები ცხადყოფს, ნებაზე მიუშვა და მასზე კონტროლი საერთოდ დაკარგა. შედეგიც სახეზეა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სტატისტიკური მონაცემებით, სხვისი პირადი საიდუმლოების ხელყოფის ფაქტის გამო 17 არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უკვე დადგა.

ე. წ. სმარტფონის ტელეფონის დახმარებით, როგორც აღვნიშნეთ, არასრულწლოვნები ხშირად გაუცნობიერებლად სჩადიან დანაშაულს. მაგალითად, იჭრებიან სხვის პირად სივრცეში და საჯაროდ ავრცელებენ იმას, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოებას წარმოადგენს. კანონი იმდენად მკაცრია, რომ აღარ ითვალისწინებს, კონკრეტულ შემთხვევაში მოზარდის მიერ რამდენად სწორად იყო გამოხატული ნება. კანონის თანახმად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 14 წელს მიღწეული არასრულწოვნის მიმართაც დგება. მშობლებს, რატომღაც, ავიწყდებათ, რომ ციხე, მით უმეტეს მოზარდისთვის, არასოდეს ყოფილა ზნეობრივი აღზრდის საუკეთესო ადგილი. პირიქით, როგორც ბევრი შემთხვევიდან ვიცით, მოზარდები გამოსწორების ნაცვლად, უფრო საშიშ დამნაშავეებად იქცევიან ხოლმე, ვიდრე საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებებად.

სპეციალური საგამოძიებო ორგანოს მიერ მოწოდებული ერთ-ერთი დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, 2023 წლის გაზაფხულზე, არასრულწლოვან ბრალდებულს სოციალურ ქსელ „მესენჯერში" მიმოწერა ჰქონდა 16 წლის დაზარალებულ გოგოსთან, რა დროსაც დაზარალებულმა ნებაყოფლობით გაუგზავნა თავისი ცეკვის ამსახველი ვიდეოჩანაწერი. მოგვიანებით ბრალდებულმა დაზარალებულს მოსთხოვა ინტიმური შინაარსის ვიდეოს გადაღება და მასთან გადაგზავნა, დაემუქრა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპიუტერული პროგრამა „ფოტოშოპის" მეშვეობით მისი ცეკვის ვიდეოს ისე დაამონტაჟებდა, რომ ფოტოებზე დაზარალებული გამოსახული იქნებოდა შიშველ მდგომარეობაში, რასაც შემდგომში გაუვრცელებდა მის მშობლებთან. მუქარის შედეგად, იმავე დღეს, დაზარალებულმა არასრულწლოვანმა თავისი საცხოვრებელი ბინის სააბაზანო ოთახში გადაიღო ინტიმური შინაარსის ვიდეო, რომელიც „მესენჯერის" საშუალებით ბრალდებულს გაუგზავნა. დაზარალებულის მომართვის შემდეგ, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვით, საგამოძიებო მოქმედებები მოკლე დროში წარმართა. პირადი ჩხრეკისას მობილურ ტელეფონში, ნანახი და ამოღებული იქნა არასრულწლოვანი გოგონას ამსახველი ინტიმური შინაარსის მასალა, რის შემდეგაც დაკავებული იქნა ბრალდებული. დანაშაულში მხილებულ არასრულწლოვანს ბრალდება პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულების ფაქტზე წარედგინა. დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც სპეციალური საგამოძიებო უწყება აცხადებს, მსგავსი შინაარსის მქონე ბევრი და საგანგაშო ფაქტი არსებობს და დროა, სახელმწიფომ უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები გაატაროს.

ის, რაც სხვა ქვეყნებში ხდებოდა და მხოლოდ ტელეეკრანებიდან ვადევნებდით თვალს, ახლა ჩვენ თვალწინ ხდება. მაგალითად, რუსეთის პარლამენტმა შემოიღო ფედერაციული კანონი, რომლის მიხედვითაც, არასრულწოვან სკოლის მოსწავლეს აეკრძალა სკოლაში „სმარტფონის" ტელეფონის გამოყენება და სოციალურ ქსელებში ურთიერთობა.

რა ხდება ჩვენთან? როგორც ჩანს, არც ჩვენი ქვეყანა უყურებს მშვიდად ამ ფაქტს.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების დასაცავად ცნობიერების ამაღლების მიზნით, მთელი საქართველოს მასშტაბით, სკოლის მოსწავლეებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გამართა. საინფორმაციო კამპანიის მიზანს სკოლის მოსწავლეების პირადი ცხოვრების ხელყოფის ფაქტების აღმოფხვრა, დანაშაულისგან დაცვა და მათი გაფრთხილება წარმოადგენს, **რადგან ბოლო პერიოდში ხშირია სოციალური ქსელებით არასრულწლოვნების პირადი ხასიათის ფოტო და ვიდეო მასალით შანტაჟისა და იძულების, დახურულ ჯგუფებსა და სხვადასხვა პირებთან მასალების გავრცელების ფაქტები.**

ქვეყნის მასშტაბით, შეხვედრები, ჯამში, 70 სკოლაში ჩატარდა. მათგან, საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა თბილისის - 22, შიდა და ქვემო ქართლის - 9, კახეთის - 11, იმერეთის - 11, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის - 11 და სამეგრელოს - 6 სკოლა.

შეხვედრების ფარგლებში, გამომძიებლებმა სკოლის მოსწავლეებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის მასიურად გავრცელებულ დანაშაულებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს: **თუ რა არის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, როგორ და რა ფორმით ხდება პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფა, ვის უნდა მიმართონ მოსწავლეებმა ინტერნეტ სივრცეში მათი შანტაჟის, კიბერბულინგის და მათი პირადი ცხოვრების ხელყოფის შემთხვევაში.**

შეხვედრების ციკლი 2023 წლის დეკემბრის თვიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება.

სპეციალური სამსახური, კონფიდენციალურობის სრული დაცვით ყველა შემთხვევაზე მყისიერ რეაგირებას ახდენს. ამ ტიპის დანაშაულების შესახებ ინფორმაციის მოწოდება შესაძლებელია **ცხელი ხაზის - 199-ის** მეშვეობითაც.

როგორც სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში განმარტავენ, ხშირია დამნაშავეთა მხრიდან არასრულწოვანთა ბულინგის, შანტაჟის შემთხვევები. მათი მიზანი ბავშვების დამნაშავის იარაღად ქცევაა. შანტაჟისა და მუქარის გამოყენებით კრიმინალები არასრულწლოვნებს აიძულებენ, დაყვნენ მათ ნებას და სოციალური ქსელის დახმარებით გაავრცელონ პირადი ხასიათის ინტიმური ფოტო-ვიდეო კადრები, წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო სივრცეში ინფორმაციის გავრცელებით ემუქრებიან.

როგორც ფსიქოლოგები განმარტავენ, მოზარდის ფსიქიკა იმდენად სუსტია, რომ ბულინგს, ზეწოლას ვერ უძლებს და ხშირად დამნაშავეთა მსხვერპლი ადვილად ხდება. მხოლოდ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის პროპაგანდა ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს. რუსეთის მაგალითზე, რაც უდავოდ, მისასალმებელია, სასწრაფოდ მისაღებია სპეციალური კანონი, რომლის მიხედვითაც, არასრულწოვანს აეკრძალება სოციალური ქსელის გამოყენება. რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აღარ შეეძლებათ, თავიანთ „სმარტფონის" ტელეფონებში შექმნან პირადი ანგარიშები და ისარგებლონ თავისუფალი ინტერნეტ სივრცით; მოახდინონ სხვის პირად სივრცეში შეჭრა და მისი გასაჯაროება და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში ზნეობრივად გადაგვარებული, კრიმინალების მსხვერპლად ქცეული თაობა გვეყოლება, რომელსაც მომავალი არ აქვს.

ლევან ჭიღლაძე

თქვენს კითხვებს პასუხობს საერთო სპეციალიზაციის ადვოკატი ლევან ჭიღლაძე

ჩემი მშობლები განქორწინდნენ. მამას სხვა ოჯახი აქვს. მამას არ სურს ჩემი შვილად აღიარება. თუმცა არსებობს მისი ხელნაწერები, რომ ის შვილად მაღიარებს. მაქვს თუ არა უფლება მოვითხოვო მამობის ფაქტის დადგენა სასამართლოს გზით, დნმ ექსპერტიზის გარეშე?

რა თქმა უნდა, გაქვთ. თუ არსებობს სხვა მტკიცებულებები. თქვენ შეგიძლიათ სასამართლოს მიმართოთ სასარჩელო განცხადებით და მოითხოვოთ მამობის ფაქტის დადგენა და სასამართლოს მოსთხოვოთ, რომ თუ მოპასუხეს ეჭვი ეპარება, რომ არ ხართ მისი შვილი, თავად წარმოადგინოს აღნიშნული დნმ-ის დასკვნა.

●

კორპუსის ბინაში მაქვს რეგისტრირებული თანასაკუთრება. ვერ ვეგუები სხვა მესაკუთრეებს და მსურს გამოვყო ჩემი წილი. როგორ მოვიქცე ?

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს წილის გამოყოფას გამიჯვნის გზით. უნდა მიმართოთ სახელმწიფო ექსპერტიზას და წარმოადგინოთ დასკვნა, შესაძლებელია გამოყოფა თუ არა. თუ ექსპერტიზა იტყვის, რომ გაყოფა შესაძლებელია, ამის შემდეგ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს და დასკვნის საფუძველზე მოითხოვოთ თქვენი უფლების რეალიზაცია.

●

გარდამეცვალა მშობლები. მყავს და, რომელიც გათხოვილია. ის ითხოვს მემკვიდრეობით დედ-მამის წილის მიღებას. მშობლების გარდაცვალებიდან 10 წელზე მეტია გასული. აქვს თუ არა მას უფლება, მიმართოს სასამართლოს და ითვლება თუ არა ხანდაზმულად მისი პრეტენზია?

კანონის მიხედვით, მემკვიდრემ მამკვიდრებლის დანაშთი ქონება უნდა მიიღოს მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის განმავლობაში. მან უნდა მიმართოს ნოტარიუსს და შეიტანოს განცხადება, რომ სურს მემკვიდრეობის მიღება. ამ ვადის გასვლის შემდეგ უნდა მიმართოს სასამართლოს და დაამტკიცოს საპატიო მიზეზი, თუ რატომ ვერ შეძლო მისი მიღება.

●

1994 წელს მეუღლეებმა ქორწინება დავარეგისტრირეთ. წლების შემდეგ მოვინდომე განმეორებით ქორწინების მოწმობის აღება, მაგრამ მითხრეს, რომ ქორწინების შესახებ არანაირი ჩანაწერი არ არსებობდა. როგორ აღვადგინო ის?

თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს და დაადგინოთ ქორწინების რეგისტრაციის ფაქტი. რომ არსებობდა რეგისტრაცია, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა მისი ხელმეორედ აღება. ასევე, სახელმწიფო სერვისებს მოსთხოვოთ წერილობითი განმარტება, რატომ ვერ ხერხდება აღნიშნული დოკუმენტის მოძიება და სასამართლოს მტკიცებულების სახით წარუდგინოთ. ასევე, წარადგინოთ მოწმეები, რომელთა ჩვენების საფუძველზეც სასამართლო აღგიდგენთ ქორწინების რეგისტრაციას.

ტელ.: 555 750 445; 557 749 887.

საკვები, რომელიც იმ ორგანოსთვისაა სასარგებლო, რომელსაც ჰგავს!

ყველასათვის კარგადაა ცნობილი გამონათქვამი „ადამიანი არის ის, რითაც იკვებება“. ვინ იცის, იქნებ ამ უბრალოდ ფრაზაში გაცილებით ღრმა აზრი დევს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

წარმოგიდგენთ პროდუქტს, რომლებიც ადამიანის სწორედ იმ ორგანოს ჰგავს, რომელთათვისაც არის თითოეული მათგანი განსაკუთრებით სასარგებლო.

1. სტაფილო – თვალი

დაჭერით სტაფილო მრგვალ ნაჭრებად, დააკვირდით და დარწმუნედბით, რომ ნამდვილად ჰგავს თვალს უმცირეს დეტალებშიც კი. სინამდვილეში სტაფილო მართლაც ძალიან სასარგებლოა თვალისთვის, რადგან სავსეა ვიტამინებითა და ანტიოქსიდანტებით (მაგ. ბეტა-კაროტინი), რომლებიც ამცირებს ასაკის მატებსათან ერთად მხედველობის დაქვეითების რისკს..



2. ნიგოზი – ტვინი

თავის ტვინი ნაოჭები, რომლებიც ნიგვზის ლებანს აქვს, ძალიან მოგვაგონებს თავის ტვინის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებს. მართლაც, ნიგოზი ითვლება „რუხი ნივთიერების საკვებ პროდუქტად“, რადგან შეიცავს დიდი რაოდენობით ომეგა-3-ს, ნახევრადუჯერ ცხიმოვან მჟავებს, რაც ტვინის ნორმალური ფუნქციონირებას უწყობს ხელს.

3. ნიახური – ძვლები

ნიახურის გრძელი ღეროები ძალიან ჰგავს ადამიანის ძვალს და სასარგებლოა სწორედ ძვლოვანი სისტემისთვის. ნიახური სილიციუმის წყაროა, რომელიც არეგულირებს ძვლების მინერალიზაცას.

4. ავოკადო – საშვილოსნო

ავოკადო ფორმით საშვილოსნოს მოგვაგონებს და ძალიან სასარგებლოა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შენარჩუნებისთვის. ავოკადოში შედის დიდი რაოდენობით ფოლის მჟავა, რომელიც ამცირებს საშვილოსნოს ყელის დისპლაზიის რისკს.

5. მოლუსკები მამაკაცის სასქესო ორგანო

კვლევება აჩვენა, რომ მოლუსკები მართლაც ძალიან სასარგებლოა მამაკაცის ჯანმრთელობისთვის. მათში შედის ფოლის მჟავა და თუთია, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სპერმის ხარისხი.

6. გრეიფრუტი – მკერდი

ქალის მკერდთან მრგვალი ფორმის ციტრუსების მსგავსება შემთხვევი შესაძლოა სულაც არ იყოს. გრეიფრუტი შეიცავს ე.წ. „ლიმონოიდებს“ - ნოვთერებას, რომელიც ხელს უშლის მკერდში კიბოს უჯრედების წარმოქმნას.

7. პომიდორი – გული

გაჭერით პომიდორი შუაზე და ნახავთ მრავალრიცხოვან კამერას, რაც ძალიან ჰგავს გულის სტრუქტურას. კვლევებმა აჩვენა, რომ ლიკოპინის შემცველობის წყალობით პომიდორი ამცირებს გულის დაავადებათა რისკს. ამასთან, თუ ამ ბოსტნეულს ცოტაოდენ ცხიმსაც დაამატებთ - ზეითუნის ზეთს ან ავოკადოს, ორგანიზმის მიერ ლიკოპინის შეთვისება თითქმის ათჯერ გაიზრდება.

8. წითელი ღვინო – სისხლი

წითელი ღვინო, რომელიც ნამდვილად ძალიან ჰგავს სისხლს, მდიდარია ანტიოქსოიდანტებითა და პოლიფენოლებით, მათ შორის რესვერატროლით. ცოტაოდენი წითელი ღვინის დალევა ორგანიზმს იცავს ქოლესტერინისგან, რაც შესაძლოა გულის დაავადებათა მიზეზი გახდეს. ამას გარდა, ღვინოს გააჩნია სისხლის გამათხელებელი ეფექტი და ხელს უშლის სისხლში კოლტების წარმოქმნას.

9. კოჭა –კუჭი

კოჭა (ჯანჯაფილი, იმბირი, ჯინჯერი) გარეგნულად ჰგავს კუჭს და მართლაც კარგი საშუალებაა გულისრევის დროს. იგი შეიცავს გინგეროლს, რომელიც ხასიათდება ანთებსაწინაალმდეგო და ანტიოქსიდანტური მოქმედებით.

წერილი მეგობარს

მარინე ადეიშვილის ხსოვნას

ჩვენო მარო, მარინე, მარგალიტა (ან, როგორც მწერალთა კავშირში გეძახდნენ — ბაბე)!

თითქმის ორმოცწლიანი მეგობრობა გვაკავშირებდა...

თითქმის ორმოცი დღე გავიდა უშენოდ...

მზესავით ანათებდი და მზესავით ათბობდი ადამიანებს.

ყველა გიყვარდა. ვისაც ერთხელ მაინც შეხვედრიხარ, თავი ყველას დაამახსოვრე, შენი წასვლით კი უამრავ ადამიანს დაწყვიტე გული.

ულევი სიკეთის წყარო იყავი - არავისთვის არაფერი გენანებოდა - ნაცნობისთვის თუ უცნობისთვის - შენი სულის ნაწილსაც კი უშურველად უწილადებდი ყველას.

სიცოცხლე გიყვარდა და გინდოდა, გეცოცხლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაგმა სენმა არ დაგვანება შენი თავი და წაგიყვანა ჩვენგან, დატოვე შენი ვაჟი და მისი ოჯახი - შენი შვილიშვილები და შვილთაშვილები, შენი და-ძმები და ჩვენ, შენი მეგობრები...

ძალიან გიყვარდა ადამიანები, სიცოცხლე, მზე, გაზაფხული, შენი გადამდები სიცილი კი ამქვეყნად ყველა უსიამოვნებას გვავიწყებდა... ამიტომ ჩვენც მხოლოდ მოგეფერებით, ღიმილით გაგიხსენებთ და შენს საყვარელ ტიტებს მოგიტანთ ხოლმე.

შენი ხელებისა და გულის სითბო კიდევ მრავალ წელს გაგვათბობს, შენზე მოგონებები კი სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

გვიყვარხარ, გვახსოვხარ, გვენატრები...

შენი ბელები

თამაზ შათირიშვილი და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებითა და სინანულით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი, ნათლიმამა, საქართველოს დამსახურებული და საპატიო საკალათბურთო მწვრთელი, ასეულობით საქვეყნოდ სახელგანთქმული სპორტსმენის აღმზრდელი და დამრიგებელი, ხარაგაულის საპატიო მოქალაქე, სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტი

ზურაბ სამხარაძე

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს. ახლობლებსა და სრულიად საქართველოს საკალათბურთო სამყაროს.

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99